იესპერ მოლერი სოფელ შრომისუბანს ეწვია

გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენელი, **იესპერ მოლერი** ლანჩხუთის მერთან, **ალექსანდრე სარიშვილთან** ერთად სოფელ შრომისუბანს ეწვია და სტიქიის შედეგად დაზარალებული საჯარო სკოლა მოინახულა. მათ ასევე დაათვალიერეს სტიქიის შედეგად დაზიანებული სოფლების დამაკავშირებელი გზები და საცხოვრებელი სახლები.

იესპერ მოლერმა სტიქიის შედეგად დაღუპული მოზარდის ოჯახს სამძიმარი, ხოლო დაზარალებულ ოჯახებს თანადგომა გამოუცხადა.

ალიონი

გურია

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.

ყოველკვირეული გამოშვება. № 21 (10457) 25 სექტემბერი, 2023 წ. ფასი 80 თეთრი.

შალვიზია „ნუჰტყონი"

ძმები ჭანუყვაძეების მარკეტი გილოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას!

მის: ქ. ოზურგეთი, ი. ჭავჭავაძის ქ. №14

რ

„როცა მარტო არ ხარ, იმედიც დიდია და იცი სტიქიასაც გაუმკლავდები"



ალიონი. 8 სექტემბერს მოსულმა უხვმა ნალექმა ძლიერი მეწყერი გამოიწვია ოზურგეთისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტების სუფსის ხეობის მიმდებარე სოფლებში. სტიქიის შედეგად უსახლკაროდ დარჩა ასეულობით ოჯახი, მოვარდნილმა ღვარცოფმა დაანგრია საცხოვრებელი სახლები, გზები და ხიდები, სხვა კომუნიკაციები. სამწუხაროდ იყო მსხვერპლიც. სტიქიის შედეგად სამი ადამიანი დაიღუპა.

ბოლო მონაცემებით, გეოლოგების წინასწარი დასკვნის საფუძველზე საკუთარი სახლების დატოვება ოზურგეთისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში 360-ზე მეტ ოჯახს მოუწევს.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში სულ 405 ოჯახია გადაყვანილი უსაფრთხო ადგილზე, რომელთაგან 95 ოჯახი სასტუმროში იმყოფება, ხოლო 310 –ნათესავებთან.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში გეოლოგების მიერ 493 საცხოვრებელი სახლი შემოწმდა, საიდანაც განსახლებას 195 ოჯახი საჭიროებს. პირველადი მოხმარების საგნები, პროდუქტი და მედიკამენტი 1300-მდე ოჯახს დაურიგდა. ჯერ-ჯერ-ობით უცნობია, როგორ მოხდება სტიქიისაგან დაზარალებულებისათვის საცხოვრისის გადაცემის პროცესი.

გეოლოგების ამბობენ, რომ ის სახლები, რომლებიც მეწყერსასიშ ნიადაგზე დგას საცხოვრისად არ გამოდგება, რადგან საფრთხე, რომ სტიქია განმეორდეს, ისევ არსებობს. სოფლებში არის უბნები, სადაც ცხოვრება საერთოდ შეუძლებელია.

მაგალითად სოფელ ჯუმათში ოზურგეთის მერიამ მთლიანად გაასახლა ჭოკლაურის უბნის მოსახლეობა, –50 მდე ოჯახი, რადგან ამ უბნის თავზე მთა დახეთქილია და მიწა მოძრაობს. გეოლოგები ამბობენ, რომ აქ ცხოვრება შეუძლებელია.

ქ. ოზურგეთში, სასტუმრო „სემში"ცხოვრობენ ამჟამად სოფელ ჯუმათიდან, სილაურიდან და ბაილეთიდან (ჭანიეთური) სტიქიას გარიდებული ოჯახები.

–ნენა, მადლობა მინდა გადავუხადო ყურადღებისა და გვერდზე დგომისთვის ოზურგეთის მერს ავთანდილ თალაკვაძეს, ჩვენს მაჟორიტარ დეპუტატს პაატა კიღურაძეს და აუცილებლად ჩვენს გმირ მაშველებს. რა ბიჭები არიან, როგორი ყურადღებიანები. მაგათმა გადაგვარჩინეს –გვითხრა სოფელ ძირი ჯუმათის მცხოვრებმა, 81 წლის **ნუნუ ღლონტმა.**

– პროფესიით ეკონომისტი ვარ. თბილისში ვმუშაობდი. აქ დედისეული ოჯახი მაქვს. მამა პეტრე ღლონტი სოფელ ნინოშვილიდან გახლდათ, პროფესიით აგრონომი. ბიძები –დედის ძმები ომში დაიღუპნენ. ოჯახური მდგომარეობის გამო, დაახლოებით 40 წლის წინ

▶▶▶ გვ–3

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

საცალო ფასი: 80 თეთრი,
ხელმოწერა:
ერთი თვით – 3,20 ლარი,
სამი თვით – 9,60 ლარი,
6 თვით –16 ლარი,
ერთი წლით – 32 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.

ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.

რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.

რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარედაქციო კოლეგია

რედაქტორი

ნუგზარ ასათიანი

nugzarasatiani15@gmail.com

558 499100

კომპიუტერული უზრუნველყოფა

ვიორგი გოგოლაძე

gia_77@mail.ru

551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3

ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311

გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“

მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაინყეთ ყოველი ოხშაბათი ალიონზე

«ალიონით»

გურიისათვის ჰუმანიტარული დახმარების აქციას რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონი შეუერთდა

ლაჩხუთისა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტებში გრძელდება სტიქიით დაზარალებული მოქალაქეებისთვის ჰუმანიტარული დახმარების შეგროვება. აღნიშნულ აქციას ამჯერად რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონი შეუერთდა.

„გრძელდება ჰუმანიტარული ტვირთის შეგროვება გურიის რეგიონში სტიქიით დაზარალებული მოსახლეობის დახმარების მიზნით, რომელსაც რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონი შემოუერთდა.

მინდა მადლობა გადავუხადო ყველა იმ რეგიონს და მუნიციპალიტეტს, რომლებიც ამ რთულ პერიოდში მხარში უდგას გურიას და გამოხატავს სოლიდარობას ჩვენი მოქალაქეების მიმართ.

დღეის მდგომარეობით, დახმარება გაეწია 1400-ზე მეტ ოჯახს და აღნიშნული პროცესი გაგრძელდება მანამ, სანამ ამის საჭიროება იქნება“;– აღნიშნა **გიორგი ურუშაძემ.**

გურიაში საქართველოს რაგბის კავშირის წარმომადგენლებმა ახალი პროექტის პრეზენტაცია გამართეს

გურიის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციაში საქართველოს რაგბის კავშირის წარმომადგენლებმა ახალი პროექტის პრეზენტაცია გამართეს, რომელიც მსოფლიო რაგბის გრანტის ფარგლებში ხორციელდება.

პროგრამის მიზანია გურიის რეგიონში რაგბში ჩართული ახალგაზრდების რაოდენობის გაზრდა, განსაკუთრებით 11 დან 13 წლამდე მოზარდების, რომლებიც შემდგომში განავითარებენ საკლუბო რაგბს.

შეხვედრას მხარის რწმუნებული **გიორგი ურუშაძე,** საქართველოს რაგბის კავშირის გამგეობის წევრი **გია კობახიძე** და ადგილობრივი ხელისუფლების ხელმძღვანელი პირები დაესწრნენ.

ოზურგეთში LAG-ის თავმჯდომარე აირჩიეს

ალიონი. 31 ივლისს, ევროკავშირის მხარდაჭერით მიმდინარე პროექტის „მწვანე გურია – ადგილობრივი დემოკრატიისა და სოფლის განვითარების მხარდაჭერა ინკლუზიური და მწვანე ზრდისთვის“ ფარგლებში, რეგიონის სამივე მუნიციპალიტეტში ადგილობრივი განვითარების ჯგუფის (LAG) მმართველი საბჭოს წევრების არჩევნები გაიმართა.

ოზურგეთში აირჩიეს LAG-ის მმართველი საბჭოს 16 წევრი საჯარო სექტორიდან, ქალთა კვოტით, საბიუჯეტო ორგანიზაციებიდან და სხვა დანარჩენიდან.

სამწუხაროდ, შემდეგ ტრაგიკულად დაიღუპა CENN-ის აღმასრულებელი დირექტორი, ნანა ჯანაშია და მმართველი საბჭოს არჩევნები ამ დრომდე არ ჩატარებულა.

20-22 სექტემბერს **LAG**-ის საბჭოს არჩევნები გაიმართა. თავმჯდომარის პოსტზე რამდენიმე კანდიდატი დასახელდა, რომლებმაც უარი გა-ნაცხადეს არჩევნებში მონაწილეობაზე.

LAG- ის თავმჯდომარედ **კოკა კილურაძე** აირჩიეს. მოადგილეებად **–მარიკა ჩხიკვიშვილი, სოფო ვასაძე.**

ავთანდილ თალაკვაძემ მეხანძრე - მაშველებს, სხვადასხვა სამსახურის წარმომადგენლებს, სწრაფი და ოპერატიული რეაგირებისთვის მადლობა გადაუხადა

ავთანდილ თალაკვაძემ მერიის სხდომაზე, მეხანძრე - მაშველებს, სხვადასხვა სამსახურის წარმომადგენლებს, სწრაფი და ოპერატიული რეაგირებისთვის მადლობა გადაუხადა და უწყებების კოორდინირებული საქმიანობის შედეგებზე ისაუბრა.

– *„ამ რთულ დღეებში, გმირობის მაგალითი აჩვენეს მეხანძრე-მაშველებმა და მინდა მთელს შემადგენლობას მადლობა გადავუხადო ამისათვის. ეფექტურად იმუშავეს პოლიციამ, სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახურმა, ინფრასტრუქტურის სამინისტრომ და მისმა კონტრაქტორმა სამშენებლო კომპანიებმა. დიდი სამუშაო გასწიეს გეოლოგებმა, რომელთაც ასეულობით სახლი და ლოკაცია შეამოწმეს. მნიშვნელოვანი იყო სწრაფი, 24 საათიანი კოორდინაცია, რომელიც მთავრობის ადმინისტრაციამ უზრუნველყო. პროცესში აქტიურად იყო ჩართული სახელმწიფო რწმუნებული გურიის მხარეში. ამ სამსახურების გარეშე შეუძლებელი იქნებოდა სტიქიასთან გამკლავება. მინდა განსაკუთრებული მადლობა გადავუხადო ჩემს თანამშრომლებს - ყველა სამსახურს, ვინც ჩართული იყო და 24 საათის განმავლობაში მუშაობდა სტიქიის დროს ადამიანების დასახმარებლად. თქვენი შრომა და თავდადება აღსანიშნავია და მადლობას გიხდით ამისათვის,“–* განაცხადა ოზურგეთის მერმა.

მისი თქმით სტიქიამ დიდი ტკივილი და ზარალი მიაყენა გურიას, თუმცა განსაცდელმა ყველანი გაერთიანა.

– *„ მჯერა ერთად აღვადგენთ დანგრეულს და იმ ოჯახებს, რომელთაც ძვირფასი ადამიანები დაკარგეს, რომელთაც საცხოვრისი დაკარგეს, ერთად ვანუგეშებთ და დავეხმარებით ნორმალური პირობების შექმნაში. ვრჩებით ხაზზე ჩვენს თანამოქალაქეებთან და ძალისხმევას არ დავიშურებთ, რომ არსებული პრობლემები გონივრულ ვადებში გადავჭრათ,“–* აღნიშნა ავთანდილ თალაკვაძემ.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი **ალექსანდრე სარიშვილი** მოადგილე **ეკატერინე გუჯაბიძესთან** ერთად სტიქიის ზონაში დაზარალებულ მოსახლეობას შეხვდა,

რომლებიც სხვადასხვა სასტუმროში არიან განთავსებული.

– *საქართველოს პრემიერ-მინისტრმა დიდი მხარდაჭერა გამოუცხადა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს. მინდა მადლობა გადავუხადო მას ამისთვის. ჩვენთვის ახლა მნიშვნელოვანია თქვენი უსაფრთხო ადგილას განთავსება. ყველაფერს გავაკეთებთ თქვენი უსაფრთხოებისთვის* – აღნიშნა ლანჩხუთის მერმა.

ბოლო მონაცემებით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში ჯამში უსაფრთხო ადგილას გადაყვანილია 204 ოჯახი, სასტუმროებში კი – 161.

ლანჩხუთის მერმა ალექსანდრე სარიშვილმა საავტომობილო გზების დეპარტამენტის წარმომადგენელთან ერთად სოფელ ხორეთში დროებითი გზის მშენებლობა დაათვალიერა.

აღინიშნა, რომ უახლოეს პერიოდში ახალი ხიდის მშენებლობა დაიწყება.

ლანჩხუთის მერმა ასევე სოფელ გულიანსა და მამათში სტიქიის ზონები დაათვალიერა და ადგილობრივ მოსახლეობას შეხვდა.

შემდეგ ლანჩხუთის მერი **ალექსანდრე სარიშვილი** მოადგილე **თორნიკე ტიკაძესთან** ერთად ღრმაღელის ადმინისტრაციულ ერთეულში, ომფარეთსა და ორმეთში იმყოფებოდა, სადაც სტიქიის სალიკვიდაციო სამუშაოები მიმდინარეობს.

სტიქიის შედეგად ღმრმაღელეში შიდა გზები დაზიანდა, რამდენიმე უბანში ჩამოწოლილი იყო მეწყერი. აღდგენითი სამუშაოები აქტიურად გრძელდება, იწმინდება გზები და დამეწყრილი უბნები.

„როცა მარტო არ ხარ, იმედიც დიდია და იცი სტიქიასაც გაუმკლავდები“

მშობლიურ სოფელში დავ-ბრუნდი, ჯუმათის კოლმეურნეობაში დავიწყე მუშაობა ეკონომისტად. 15 ტონა ტყემალი იკრიფებოდა ჩემს ეზოში.შინა მეურნეობაც გამართული მქონდა. შემდეგ ჩემი მეუღლე ვახტანგ ლოლუა გარდაიცვალა და სოფლიდან წასვლაზე არც მიფიქრია.

ახლა ჯუმათში თითქმის ყველა უბანი დამეწყრილია. ვიცი ამ შვავის ამბავი, აქ ხომ სულ მოძრავი მიწებია. ახალი სახლი რომ ააგონ, 10-15 წელიწადში კიდევ შეიძლება დაიმეწ-ყროს –გვითხრა ქალბატონმა ნუნუ ღლონტმა.

–პანდემიის დროს დედასთან ვიყავი ჯუმათში. ახლაც აქ ვარ. სამი შვილი მყავს: თორნიკე, დემეტრე, ანა. საერთაშორისო ურთიერთობის სპეციალისტი ვარ, უნივერსიტეტი დავამთავრე, ახლა დედას ვუვლი და ვხედავ როგორ ყურადღებით გვექცევიან. დედას შაქარი და მოციმციმე არითმია აწუხებს. სასტუმროში ყურადღებას გვაქცევენ და მადლობას ვუხდით მომსახურე პერსონალსაც–გვითხრა ნუნუ ღლონტის შვილმა **ხათუნა ლოლუამ.**

– ჩვენს უბანს „დობირას“ უწოდებენ. მთის ფერდი წამოვიდა და დაიმეწრა გზა, ხევი, ყვალეფერი ჩაკეტა. დაიბზარა სახლი. დაინგრა დამხმარე ნაგებობები. მეწყერმა დაზიანა ელექტროგადამცემი ხაზები, გაზის მილები, რომლითაც უახლოეს ხანში ბუნებრივი აირი უნდა მიგვეღო.

ძალიან ვწუხვართ, წინაპრების 4 თაობა ვიცი, აქ რომ ცხოვრობდა. ეს ყველაფერი უნდა დატოვო. . სოფელში არიან დარჩენილები, რომლებიც სახლ-კარს არ შორდებიან – .გვითხრა **მაია დოლიძემ**.

ლელა და **ინგა მეგრელიშვილები** სოფელ სილაურიდან, ძეგორას უბნიდან არიან.

– ჭექა-ქუხილი და ძლიერი წვიმა იყო. გამთენიისას სახლი შეზანზარდა, მაგრამ არ გვიფიქრია, რომ მეწყერი ჩამოწვა. როგორც კი გათენდა, დავინახეთ რომ ციტრუსი, თხილის ფართობი, სხვა ნარგავები დამეწყრილი იყო და ეზოდან დაახლოებით 1500 კვადრატული მიწა ქვემოთ იყო ჩატა-ნილი. მთის ფერდი დაეცა და 82 წლის თინა რუსიძის სახლი მიწაში ჩაეტანა, მხოლოდ სახლის ზედა სართულის ნაწილი და სახურავი ჩანდა. ვყვიროდით, ადამიანი იყო სახლში. მაშველები სახურავიდან ჩავიდნენ და სამი საათი დასჭირდათ თინას ცხედარი ეპოვათ. როგორც ჩანს ძინავდა, გარდაცვლილს თავქვეშ ჰქონდა ხელი ამოდებული.

მისი შთამომავლობა სოფელ ოზურგეთში ცხოვრობს. ძალიან მშრომელი ქალი იყო. ბავშვობისას, სკოლიდან რომ მოვდიოდით, სულ გვპატიჟებდა, გვიმასპინძლდებოდა. თხილის და ნიგვზის კარგი პლანტაცია ჰქონდა, შრომობდა. კარგად ქსოვდა. ყველას გვიყვარდა. ძალიან ცუდი ტრაგედია დატრიალდა. – გვიყვებიან მეგრელიშვილები.

ისინი ამბობენ, რომ ძეგორას უბანში 14 ოჯახს ელოდება ასახლება და გეოლოგების დასკვნას უცდიან. ყველას ეშინია დაზიანებულ ეზოსა და სახლებში ცხოვრება, მაგრამ იმავდროულად არ ეთმობათ დასატოვებლად მშობლიური ადგილები.

მეგრელიშვილებიც მადლობას უხდიან ხელისუფლებას გასაჭირის დროს გვერდზე დადგომისთვის.

სოფელი ჭანიეთური ერთ-ერთი კოლორიტული დასახლებაა გურიაში. აქ ოცამდე მოსახლე ცხოვრობს. სტიქიამ დიდი ზიანი ამ უბანსაც მიაყენა.

ნათია გელაშვილი *სურამიდანაა. კვაჭაძეების რძალია და ორი შვილი ჰყავს. ბარბარე 7 წლისაა, ხოლო გაბრიელი 5 წლის.*

–მეწყერის გამო ჩვენს პატარა უბანს საცხოვრისის დატოვება მოუწევს. გეოლოგების წინასწარი დასკვნით იქ მხოლოდ ორი ოჯახია უსაფრთხოდ. სასტუმრო „სემში“ ვარ შვილებთან ერთად. ყურადღებას არ გვაკლებენ. ოზურგეთის მერიც მოვიდა რამდენჯერმე. სკოლა რომ დაიწყო, დილით მანქანით მოვიდა და ჩემი ქალიშვილი წაიყვანა სკოლაში. მანამდე პირადად დაგვეხმარა, რომ ბავშვები მოგვემზადებინა. ბარბარე №1 სკოლაში სწავლობს, ხოლო გაბრიელი იქვე –№2 საბავშვო ბაღში დადის.

როცა მარტო არ ხარ, იმედიც დიდია და სტიქიასაც გაუმკ-ლავდები – გვითხრა ნათია გელაშვილმა.

ჰიდროელექტროსადგური არ იწვევს მავნე სათბური აირების გაფრქვევას ატმოსფეროში

საერთაშორისო, დამოუკიდებელი ექსპერტი პიერ ბიდერმანი ბახვი ჰესის პროექტებზე

ფრანგი საერთაშორისო ექსპერტი, **პიერ ბიდერმანი** გარემოსდაცვისა და სოციალური საკითხების ექსპერტია 25 წლიანი გამოცდილებით. ის EB-RD-ის „ჰიდროენერგეტიკულ პროექტებში გარემოსდაცვითი და სოცია-ლური საკითხების გზამკვლევის“ თანაავტორი, ფრანგული საკონსულტაციო კომპანიის „**Alfage**“ დამფუძნებელი და მთავარი მკვლევარია. პიერ ბიდერმანი უშუალოდ იყო ავტორი ბახვი ჰესის კუმულაციური ზემოქმედების და მიკრო და მაკროკლიმატთან დაკავშირებული კვლევების. მას ეკუთვნის ბახვი ჰესისათვის მომზადებული სამოქმედო გეგმაც, რომელიც რიგ შემთხვევებში გარემოზე ზეგავლენის თავიდან აცილებას, რიგ შემთხვევებში კი შემარბილებელი პროექტების განხორციელებას ავალებს კომპანიას.

გთავაზობთ ინტერვიუს, სადაც ექსპერტი საუბრობს კვლევებზე და მის შედეგებზე. რას ნიშნავს კუმულაციური ზემოქმედება, რატომ არ და ვერ მოახდენს ზეგავლენას ბახმაროს კლიმატზე „ბახვი ჰესის“ პროექტი და რა სარგებელი მოაქვს ჰიდროენერგეტიკულ პროექტებს ემისიების შემცირების თვალსაზრისით. ვიდეო ინტერვიუს განმეორებით გთავაზო-ბთ, პროექტისადმი მაღალი ინტერესის გამო.

https://www.youtube.com/watch?v=1HjW4Vo9T_A

აქვე გთავაზობთ ინტერვიუს ბეჭდურ ვერსიას:

– როგორი იყო კუმულაციური კვლევის შედეგები ბახვი 2 ჰიდროელექტროსადგურის პროექტისთვის?

– ჩვენ ჩავატარეთ კუმულაციური ზემოქმედების კვლევა მდინარე ბახვისწყლის ხეობაში როგორც „ბახვი 1“, ასევე, „ბახვი 2“ ჰიდრო-ელექტროსადგურის პროექტისთვის. კვლევის მიზანი იყო გვენახა, თუ რა დამატებითი ზეგავლენა შეიძლებოდა გამოეწვია მოცემულ პროექტებს სხვა მიმდინარე ან დაგეგმილ ინიციატივებთან მიმართებაში. კვლევის შედეგად დადგინა, რომ ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და ყურადსაღები ასპექტი იქნება სხვადასხვა პროექტს შორის კოორდინაცია. თუ, კოორდინაციით, შეთანხმებული პოლიტიკით და ერთიანი სტანდარტით მოხდა გარემოსდაცვითი საკითხების მართვა, მაშინ შესაძლო ზეგავლენა მინიმუმამდე შემცირდება.

– შესაძლებელია ერთ მდინარეზე რამდენიმე ჰიდროელექტროსადგურის განთავსება?

– ერთ მდინარეზე რამდენიმე ჰიდროელექტროსადგურის განთავსება მიღებული პრაქტიკაა მსოფლიოში, თუმცა, უმნიშვნელოვანესია მათ იმუშაონ კოორდინირებულად. თითოეული პროექტის მიზანი უნდა იყოს წყლის ბიომრავალფეროვნების და მდინარის სწორი მართვა, იმისათვის, რათა კუმულაციური ზემოქმედება მდინარეზე მინიმუმამდე იქნას დაყვანილი. მდინარე ბახვისწყლის შემთხვევაში, ჩვენ ვიცით, რომ მხოლოდ ერთი სახეობის თევზი, ნაკადულის კალმახი ბინადრობს. სწორედ კალმახისათვის ხელსაყრელი გარემოს შენარჩუნება იქნება მოცემული პროექტების უმთავრესი საზრუნავი. თუკი, „ბახვი 1“, „ბახვი 2“ და „ბახვი 3“ ერთიანი გარემოსდაცვითი პოლიტიკით იქნება მართული, ერთიანი სტანდარტები გატარდება და ერთი კომპანია აიღებს ამაზე პასუხისმგებლობას, გაცილებით მარტივი და ეფექტიანი იქნება ბიომრავალფეროვნების დაცვა და გაფრთხილება. რაც გამოიხატება შეთანხმებული შემარბილებელი ღონისძიებების გატარებით.

– გთხოვთ, მოგვიყვეთ თევზსავალსა და მისი მუშაობის პრინციპზე

– სამ ჰიდროელექტროსადგურს სამი თევზსავალი უნდა ჰქონდეს, მთავარია ის, რომ თითოეულმა იმუშაოს გამართულად და სამივე სათავე ნაგებობაზე მოხდეს თევზის გატარება. თუკი, ერთი მონაკვეთი გაიჭედება, მავალითად, არ მოხდება საკმარისი წყლის გატარება, მდინარე ჩაიხერგება ლოდებით ან ხეებით, მაშინ აზრს კარგავს დანარჩენი ორის გამართულად მუშაობა. ამ შემთხვევაში, მოცემული საკითხი უკვე პრობლემად იქცევა, რომელიც აისახება ბიომრავალფეროვნებაზე. ამიტომაა საჭირო კოორდინაცია, ერთიანი პოლიტიკა და მართვის სტანდარტი. სწორედ ამიტომ მუშაობენ ჰიდროელექტრ-ოსადგურებზე გარემოს დაცვის მენეჯერები, მათი პირდაპირი მოვალეობაა სტანდარტების დაცვა და თევზსავალის მუშაობის მონიტორინგი. ამასთანავე, მნიშვნელოვანია მდინარის კალაპოტის მართვა, საკმარისი წყლის ხარჯის გატარება. სწორედ, ამ პრინციპების დაცვა უზრუნველყოფს წყლის ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებას.

– როგორი იქნება თქვენი ჩართულობა მიმდინარე პროექტებში სამომავლოდ?

– მე ჩართული ვიყავი „ბახვი 3“-ის პროექტის გარემოსდაცვითი გეგმის შემუშავებაში და ასევე, აქტიურად ვარ და ვიქნები ჩართული „ბახვი 1“ და „ბახვი 2“-ის პროექტების გარემოსდაცვითი და სოციალური მიმართულებების ჩამოყალიბებაში რათა, უზრუნველვყოთ IFC და EIB-ის გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტების დაცვა და დაგეგმილი შემარბილებელი ღონისძიებების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა. ასევე, დიდ ყურადღებას დავუთმობ იმას, რომ ბახვისწყალზე არსებული ყველა პროექტი იყენებდეს ერთობლივ მიდგომას გარემოსდაცვითი საკითხების მართვაში.

– ჰიდროელექტროსადგური, როგორც სათბურის გაზების შემცირების მექანიზმი

– მცირე ჰიდროელექტროსადგურების მიერ წარმოებული ელექტროენერგია მწვანე ენერგიის წყაროა, რადგან ის არ აფრქვევს საზიანო, ეგრედწოდებულ, სათბურ აირებს ატმოსფეროში, რაც, კლიმატის ცვლილებაზე ნეგატიურ ზეგავლენას ახდენს. ჰესების მიერ ელექტროენერგიის გამომუშავება, არის სათბური აირების გამოყოფის შემცირების ერთ-ერთი გზა. ჩვენ გავაკეთეთ კალკულაცია და გამოვიანგარიშეთ, თუ რა იქნებოდა ნახშირორჟანგის გაფრქვევის მაჩვენებელი, თუკი ჰიდროელექტროსადგურის ნაცვლად იგივე ზომის თბოელექტროსადგურით მივიღებდით ელექტროენერგიას.

„ბახვი 1“-ის შემთხვევაში, გარემოში 18 ათას ტონა ნახშირორჟანგის გაფრქვევის აცილება ხდება წელიწადში. *რაც, 8 ათასი ტონა ბენზინის მოხმარებისას გამოყოფილ ნახშირორჟანგის რაოდენობას უტოლდება.*

„ბახვი 2“-ის შემთხვევაში, კი უფრო მეტის, 55 ათასი ტონა სათბური აირების გაფრქვევის აცილება ხდება. *ეს კი 24 ათასი ტონა ბენზინის მოხმარებისას გამოყოფილი ემისიების რაოდენობას უტოლდება.*

სწორედ, ეს არის სარგებელი მცირე ჰიდროელექტროსადგურისა. ის არ იწვევს მავნე სათბური აირების გაფრქვევას და შესაბამისად, მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია კლიმატის ცვლილებასთან ბრძოლის პროცესში.

ვფიქრობ, ჰიდროელექტროსადგურ-ების მშენებლობას ბევრი დადებითი აქვს საქართველოში. მნიშვნელოვანია, რომ საქართველო არის პარიზის საერთაშორისო შეთანხმების ხელმომწერი ქვეყანა, რომლის ფარგლ-ებშიც 150 ზე მეტი ქვეყანა შეთანხმდა, ეტაპობრივად გადავიდეს განახლებადი ენერგიების წარმოებაზე რაც, ავტომატურად გულისხმობს ატმოსფეროში მავნე ნივთიერებების გაფრქვევის კვალის შემცირებას და ამით, კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული გამოწვევების მართვას. ასევე, განახლებადი წყაროების სიმრავლე თავისთავად გულისხმობს, საქართველოს დამოკიდებულების შემცირებას მეზობელ ქვეყნებზე, ელექტროენერგიის იმპორტის კონტექსტში.

დაფინანსებული ფართი

ნანა ტრაპაიძე - 82

სიცოცხლის დრო

„ჩვენ ყველას გვაქვს ჩვენი ქალაქი, ოღონდ ხანდახან არც ვიცით ხოლმე...“

მერე რაღაცებს ვხვდებით. გამოცდილებით, შეგნებით, ინტუიციით; გონებით თუ გრძნობით... შეიძლება, მობეზრებული, ყოველდღიური ლანდშაფტი მონატრებით გახდეს ყველაზე ძვირფასი და ამქვეყნად საუკეთესო. და კიდევ, მონატრება სულაც არაა აუცილებელი, რომ გააცნობიერო: ეს ქალაქი „ჩვენია“ იმ ხალხით, რომელიც გამოარჩევს აქაურობას სხვა („სხვების“) ქალაქებისგან და განსაკუთრებულია თითოეული იმ უნიკალური ადამიანით, ურომლისოდაც უბრალოდ არ არსებობს ქალაქის მთლიანობის შენეული აღქმა.

და ვინ, თუ არა ნანა ექიმი...

ის გაიდეალებას ნამდვილად არ საჭიროებს, რადგან ჯერ ერთი, ჩვენს გვერდით, ერთ დროსა და სივრცეში ცხოვრობს და თანაც, ისედაც საკმაოდ მატერიალისტური ფუნქცია გააჩნია - ჩვეულებრივი, რეალური ადამიანის განკურნება; მაგრამ მისი გაცნობა ნებისმიერი თვალსაზრისით, ალბათ მეტ-ნაკლებად ყველას ჩააფიქრებს ზნეობრივ იდეალსა თუ აბსოლუტურ იდეაზე.

მისი კაბინეტი (ვის ვის და მე ვირჯინია ვულფის „საკუთარი ოთახი“ მახსენდება. და დიახ, მარტო ქალ მწერალს კი არა, ექიმი ქალის შემოქმედებასაც სჭირდება ასეთი შთამაგონებელი ოთახი) - წიგნებით, ნახატებით... უნიჭიერესი ხელით მოხაზული ესკიზები და ჩანახატები (მისთვის ორმაგად ძვირფასი), არც ერთი ყალბი, უგემოვნო ნოტი... და წიგნები - უმეტესად ძველი გამოცემები. აქაც არანაირი სიყალბე, თანამედროვეობაში უხვად შემოჭრილი ბესტსელერების სახით. საგულისხმოა, რომ მხოლოდ სამედიცინო და პროფესიული ლიტერატურა კი არა, უბრალოდ ლიტერატურაა, ანუ ნამდვილი ლიტერატურა, მეტწილად...

ფურცლებით დახუნძლული საწერი მაგიდა, ის პატარა, ძველი ბლოკნოტი, სადაც ჩანაწერებს აკეთებს, ახალი მედიკამენტის, ტელეფონის ნომრის თუ კიდევ რაღაც მნიშვნელოვანი წვრილმანის გასახსენებლად მოიშველიებს... ეს ყველაფერი ნდობით განაწყობს.

ამ ერთდროულად განცალკევებულ - ექიმთან თავისებური აღსარებისთვის, განმარტოებისთვის ზედგამოჭრილ - მყუდრო და თან ღია სივრცეში სრულდება მისი საგანგებო მისია. თითოეულ პაციენტთან განსაკუთრებული მიდგომით თითქოს აცხადებს: „თუ გინდა ადამიანს უწამლო, გასაღები უპოვე.“

გასაგებია, რომ პროფესიონალის მტკიცე ჩვევით, მუდმივი მზადყოფნის რეჟიმშია და თითქმის არანაირი მიზეზი არ არსებობს, ვიზიტი გადადოს ან გააუქმოს; მაგრამ სხვაა ის ინტერესი, რომლითაც ჩივილების მიზეზს იკვლევს. ცალკე კატეგორიაა მოსმენა - რაც, კაცმა რომ თქვას, ჩვეულებრივი და აუცილებელი პუნქტი უნდა იყოს ნებისმიერი ექიმის პრაქტიკაში, მაგრამ ხშირად ასე არ ხდება, სამწუხაროდ... ნანა ექიმს კი მოსმენის დიდი ნიჭი აქვს. შენს მიერ მოყოლილ ამბავში არც ერთი დეტალი არ გამოეპარება. მისი მიმართვის სტილიც განსაკუთრებულია და მოფერებითი, შინაურული სიტყვები და კილო ისე ბუნებრივად გაისმის, სხვანაირად ვეღარც წარმოვიდგენია. მარტო ავადმყოფობის, სატკივრის ისტორიას კი არა, თითქოს შენს პორტრეტს აკოწიწებს, შენს მიმდინარე ცხოვრებას სწავლობს გარემოსა და მოვლენების ჭრილში, რომ ეს სურათი ისევე დაიხმაროს, როგორც რენტგენის გამოსახულებას აკვირდება.

ფსიქოლოგის მოვალეობასაც სწევს, სადაც საჭიროა...

ყველას თავისი წილი ერგება: მოზომილი სიმკაცრე, დიდი სითბო, პატარა გაკიცხვა თუ შექება. ვისთან არის საჭირო პირდაპირი სათქმელი, ოღონდ ტაქტით; ვინ გაუგებს სწორად, ადრესატამდე როგორი გზავნილი მივა - ზუსტად იცის.

ზოგს ხუმრობით შეუყვირებს კიდეც: — რას ჩამოგიყრია ყურები, ბერიკაცო?! არაფერი გჭირს საწამლო, ნეტა ყველა შენსავით ჯანმრთელი იყოს. ახლა, თუ სპრინტერივით ვერ დარბიხარ და ხუთფუთიან გოდორს ვეღარ ერევი, ნელი ნაბიჯით იარე, ბატონო და ხუთი კილო ტვირთი ასწიე. არაფერი საქმე არ გაქვს ექიმებთან და აღარ დაგინახო, იცოდე! შენზე უფროსი ვარ და უნდა დამიჯერო!

მოწმე ვარ, რა ჯადოსნური გავლენა მოახდინა ამ გამამხნევებელმა დატუქსვამ საპასპორტო ასაკის არამღიარებელ „ბერიკაცზე“.

„როცა ყველაზე მეტად გიჭირს და გგონია, რომ მორჩა, დამთავრდა, ადგომის თავიც არ გაქვს, აღარაფერი გინდა და აღარაფერი შეგიძლია... ან თუნდაც, გტკივა რამე, ძალიან გტკივა - აი, ზუსტად მაშინ უნდა წამოდგე და აიძულო შენი თავი, ნაბიჯი გადადგა, მტკივანი კიდურიც კი დატვირთო; უნდა გააკეთო რაღაც, სულ ერთია რა, ოღონდ ამოძრავდი. საქმისთანა მკურნალი არ არსებობს, ვერანაირი წამალი შეედრება შრომას, მოქმედებას, უბრალოდ ფეხზე წამოდგომას, ნაბიჯების გადადგმას.“ - ესეც ნანა ექიმის სიტყვებია და როგორ არ უნდა დაუჯერო ამ საოცარ, ცხოვრებით გამოცდილ მაგალითს.

მერე, თუ გაუმხელ, რომ ეს არც ისე ადვილია, არ გამოგდის და ათას საბაბთან ერთად სამედიცინო ტერმინებსაც მოიშველიებ, უბრალოდ გეტყვის: - სიზარმაცეა, დედა, მაგი...

კი, ნამდვილად სიზარმაცეა ჩვენი მთავარი სენი. და კარგი იქნება, ამის საპირისპირო ნიმუშებს ყურადღებით მაინც შევხედოთ.

თავად ის დღემდე სწავლობს, აანალიზებს, ფიქრობს და იღრმავებს ცოდნას. თანამედროვე მედიკამენტებს, ყველა სამედიცინო სიახლეს ეცნობა. სიახლეების მიღება და მუდმივი ძიება ახალგაზრდობის ნიშანია, შეიძლება ერთადერთი ელექსირიც კი.

ცხოვრების წესი და პროფესიისადმი დამოკიდებულება - რისგანაც იქმნება ექიმის რეპუტაცია, მის შემთხვევაში სტერეოტიპული ვერ იქნება, რადგან სტერეოტიპებისგან თავისუფალია და მრავალმხრივი ინტერესებიც გამოარჩევს. თუნდაც ის, რომ თვალს ადევნებს კულტურულ სიახლეებსაც, არ აკლდება გამოფენებს...

აი, რამდენი მიზეზი გვაქვს საიმისოდ, რომ გვიყვარდეს და მადლიერები ვიყოთ. მადლიერი იმიტომაც, რომ ადამიანად ყოფნის საუკეთესო მოდელსა და ვარიაციებს გვთავაზობს. უბრალოდ, მასთან დიალოგიც შესანიშნავია. დიალოგი კი, თუ დავფიქრდებით, უმნიშვნელო სულაც არაა.

მოკლედ, ბევრი მიზეზია და ჩვენ, მადლიერებს, ისღა დავვრჩენია, დაბადების დღე მივულოცოთ, დღეგრძელობა, სიხარული და ყველასთვის სანუკვარი ჯანმრთელობა ვუსურვოთ, თორემ მენტალურად, სულიერად იმდენად ძლიერია, თითოეულს მოგვცემს ფორას და შეგვახსენებს, რომ მოძრაობის და სიცოცხლის დროა!

ეს წერილიც, ალბათ, პატარა ანტიდოტია სიზარმაცისთვის...

დარწმუნებული ვარ, ბევრისთვის ნაცნობი განცდაა და ბევრსაც ენიშნება გამორჩული ქართული რომანის პერსონაჟის შესახებ ნათქვამი ეს ფრაზა: „რომ გეკითხათ, თუ ვინ იყო დედამიწის ზურგზე ყველა დროის საუკეთესო ექიმი, არც დაფიქრდებოდა, ისე გიპასუხებდათ, განცვიფრდებოდა კიდეც: „როგორ თუ ვინ? რა თქმა უნდა...“

ჩვენ ყველას გვყავს ჩვენი ნანა ექიმი, ოღონდაც... ვიცით!

ლია მოლარიშვილი

„ჩემი დიდი ნატვრაა –კიდევ ერთი ოლიმპიური ჩემპიონი ვაჩუქო ოზურგეთს“

რუბრიკის „პროფესია მწვრთნელი'' სტუმარი მოკრძალებული, თავმდაბალი კაცია, რომელსაც არ უყვარს საკუთარ წარმატებებზე საუბარი...

ჩვენი სტუმარი საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, ოლიმპიური ჩემპიონის გამზრდელი **გურამ მაჭარაშვილია :**

გურამ მაჭარაშვილი - „სკოლიდან მოყოლებული სპორტში ვარ. ჯერ ფეხბურთს ვთამაშობდი. ნასაკირალის სკოლა დავამთავრე და სკოლის ნაკრებში ვირიცხებოდი. ვლასი თალაკვაძე იყო მაშინ სკოლის დირექტორი.

ნასაკირალში ფიზკულტურის პედაგოგი კი მიხეილ გოგუაძე გახლდათ, რომელიც ოზურგეთში ბერძნულ- რომაული ჭიდაობის ფუძემდებელია. მან 1959 ჩამოაყალიბა ოზურგეთში ეს სექცია მაშინდელ სპორტსკოლაში.

ნასაკირალში, როცა სპორტის გაკვეთილები გვიტარდებოდა, მიხეილისთვის უპირატესი ჭიდაობა იყო, მაშინდელ ნასაკირალის მეურნეობაში სავარჯიშო ლეიბები ამოიტანა და გახსნა ჭიდაობის ჯგუფი. ამ ყველაფერში კი დახმარებას სკოლის დირექტორი ვლასი თალაკვაძე უწევდა.

ვაღიარებ, ძალით შემოყვანა მიხეილმა ჭიდაობაში, წინააღმდეგობა ვერ გაუწიე, რადგანაც მისი ხათრიც მქონდა და ამ ყველაფერში მშობლებიც ჩაერივნენ.

16 წლის ვიყავი,საკმაოდ დიდი, რო-ცა ჭიდაობა დავიწყე.

პირველ შეჯიბრზე უფროსი ასაკის მოწინააღმდეგეს შემახვედრეს. მოვახერხე და ბრინჯაო ავიღე.

შემდეგ იყო საკავშირო პირველობა, ლიეტუაში სადაც მესამე ადგილი დავიკავე.

საბჭოთა ჯარში გაწვევის პერიოდმა მომისწრო. იქ შეამჩნიეს ჩემი მონაცემები და არმიის სპორტულ კლუბში ჩავირიცხე, სადაც ორჯერ გავხდი საბჭოთა კავშირის არმიის ჩემპიონი. 1981 წელს გავხდი საბჭოთა კავშირის ნაკრების კანდიდატი, სადაც საბჭოთა კავშირის სახელით მსოფლიო თასი ვიჭიდავეთ ბიჭებმა და გუნდური პირველი ადგილი ავიღეთ.

იმავე წელს „მსოფლიო სტუდენტური თამაშები'' ვიჭიდავე და ვერცხლი ავიღე.

ვარ საერთასორისო ტურნირების არაერთგზის გამარჯვებული.

თუმცა ჩემი კარიერის ზენიტი, მაინც მწვრთნელობაა, მე ამისთვის ვარ დაბადებული და ჩემი ცხოვრების მნიშვნელოვანი წლები სამწვრთნელო კარიერას უკავირდება.

1986-89 წლამდე თბილისში ვიყავი მწვრთნელი „შრომით რეზერვების“ სპორტულ დარბაზში , სადაც გავზარდე სამი ევროპის პრიზიორი და ახალგაზრდებში მსოფლიო ჩემპიონი.

1990 წლიდან ოზურგეთში ვარ და არაერთმა მოჭიდავემ გამოიარა ჩემს ხელში, რომლებმაც სახელი აღიარება მოუტანეს ჩვენს ოზურგეთს...

1993 წლიდან ვავარჯიშებდი მანუჩარ კვირკველიას, რომელიც 2008 წელს ოლიმპიური ჩემპიონი გახდა პეკინში. მანუჩარი ასევე მსოფლიო და ევროპის ჩემპიონია. მრავალგზის პრიზიორი. 7 მედალი აქვს დიდებში მსოფლიო და ევროპაზე.

ქემალ ხარაბაძე - ახალგაზრდებში მსოფლიო და ევროპის პრიზიორი. საქარ-თველოს ჩემპიონი. ახლა წარმატებული მწვრნელია. ქემალმა ადრე დაასრულა სპორტული კარიერა , რითაც მაწყენინა, მაგრამ კარგი მწვრთნელობით მახარებს.

ჩემი დიდი გულის ტკივილი ალექსანდრე ბოლქვაძეა. რომელმაც ძალიან ადრე დატოვა წუთისოფელი. ჩემი გაზრდილი ბიჭი, რომელსაც გარდაცვალების შემდეგ საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის ტიტული მიენიჭა...

ასევე ვდარდობ და სულ მახსოვს ედუარდ თავაძე, 19 წლის პერსპექტიული მოჭიდავე, რომელიც დიდი პატრიოტი იყო ჩვენი ქვეყნის... აფხაზეთის ომში დაიღუპა — ნათელი ამ ბიჭების ხსოვნას.

ახლაც ვავარჯიშებ პერსპექტიულ სპორტსმენებს — საბა მამალაძე მინდა გამოვყო, მსოფლიოს და ევროპის პრიზიორი 23 წლამდელთა შორის.

ნიკა, ლუკა და ლუკა ღლონტები, გიორგი ბერიძე, ალეკო ჭელიძე... მათი იმედი მაქვს.

მწვრთნელებსაც ვზრდი, რომლებიც წარმატებულები ხდებიან. ნაკრების მწვრთნელია მაგალითად ზურიკო მაჭარაშვილი. ასევე გამოვყოფ კახაბერ აბაშიძეს, უჩა მჟავანაძეს, ქემალ ხარაბაძეს — ისინი თავგადაკლული მწვრთნელები არიან, საკუთარ თავზე და დღენიადაგ ბავშვებზე მუშაობენ.

მარტივი არაა მწვრთნელობა. ჯერ კიდევ ის დროა, როცა მშობლები სპორტს სერიოზულად არ უყურებენ და ბავშვებს არჩევანის გაკეთებას სხვა მიმართულებით ურჩევენ და აძალებენ კიდეც. არადა სპორტია ის, რაც ჯანმრთელობისთვის აუცილებელია. ასევე ბიჭები ვაჟკაცებად ყალიბდებიან. სწავლობენ ერთმანეთის დანდობას, მეგობრობას და ქალის პატივისცემას...

ოზურგეთის ბერძნულ - რომაული სკოლა არა მარტო საქართველოში, მსო-ფლიოშია ცნობილი თავისი სპორტ-სმენებით. დღეს ჩვენს მუნიციპალიტეტში სპორტს და კონკრეტულად ჭიდაობას დიდ ყურადღებას აქცევენ. მუდმივად ვგრძნობთ მხარდაჭერას.

მაგრამ, როცა ვითარდები, კიდევ მეტად გინდა, რომ გაძლიერდე. ჩემი სურვილია ჭიდაობის სასახლე ოზურგეთში, სადაც სხვადასხვა ქვეყნებიდან ცნობილი მწვრთნელები და მოჭიდავეები ჩამოვლენ. ამით ჭიდაობა კიდევ მეტად შეუყვარდებათ ბავშვებს...

ჩემი ყველაზე დიდი ნატვრაა (სანამ სამწვრთნელო კარიერას დავასრულებ) კიდევ ერთი ოლიმპიური ჩემპიონი ვაჩუქო ოზურგეთს, იმედია ამიხდება ეს ოცნება, ვნახოთ" ....

ნინო ვაშალომიძე,
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის
სპორტულ-გამაჯანსაღებელ
დაწესებულებათა გაერთიანების
საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური.

ილია და ანა და გერონტი ქიქოძის პირველი შთაბეჭდილებისა და აღტაცების ამბავი

მინდა მოგითხროთ ილიასა და თანამედროვე გურულების შესახებ, კონკრეტულად: ანა კალანდაძეზე, ნოდარ დუმბაძეზე, გურამ შარაძეზე და ანზორ ერქომაიშვილზე. ცხადია, სხვა გურულებსაც და არაგურულებსაც გავიხსენებ. მათ შორის, ბუნებრივია, გერონტი ქიქოძის საოცარ სიტყვასაც მოვიხმობ, „პოეზიის დედოფლის“ პირველ საჯარო გამოსვლას რომ მიუძღვნა. იქამდე ერთი არაჩვეულებრივი ნაშრომი მინდა გავიხსენო.

* * *

2009 წელს, თბილისში, ქალბატონ ლუარა სორდიას ავტორობით მეტად საინტერესო ნაშრომი დაიბეჭდა: „ანა კალანდაძის ესთეტიკის საკითხები.“

გამოცემის ადგილი შემთხვევით როდი ვახსენე, დარწმუნებული ვარ ქალბატონი ლუარა, ჩემზე ბედნიერი იქნებოდა, „ანა კალანდაძის ესთეტიკის საკითხებს“ მზის სინათლე თბილისში კი არა, სოხუმში ეხილა. ქალბატონი სოხუმელია და ამჟამად სოხუმის უნივერსიტეტის პროფესორია.

სწორედ ამ ნაშრომში ვკითხულობთ:

„ილია ჭავჭავაძის ეროვნული ტრიადა: „ენა, მამული, სარწმუნოება,“ ანა კალანდაძის უპირველესი საზრუნავია.

ილიას სიბრძნეს, მის საქრესტომათიო ჭეშმარიტებებს არაერთგზის იმოწმებს ანა. პოეტ ქალს აინტერესებს გრძნობა-გონების მიმართების პრობლემა, თუ როგორ ანადგურებს ბოროტი გული გონებას, მითუმეტეს, თუ ის ნასწავლია, მისი ცოდნა სამშობლოს დამანგრეველ ძალად იქცევა. ამ შემთხვევაში ილიას აზრის დამოწმება ხდება, ლექსით „ილიამ ბრძანა“:

მოდით, ანა კალანდაძის **„ილიამ ბრძანა“,** სრულად გავიხსენოთ და დაწყებული ამონარიდის გახსენება შემდეგ გავაგრძელოთ:

„თუ... კაცის სული...
ყრუ და ბნელია,
გული ბოროტი
გონებას თრგუნავს,
საშიში არი
მის ნასწავლობა:
სამშობლოვ ჩემო,
მიიღებ უნასს
და დამანგრეველ
ვულკანის ძალას...
საშიშიაო,
ილიამ ბრძანა!“

„ილიას აჩრდილი არაერთგზის აედევნება პოეტს, რადგან ანას სული ისეთივე ღრმა და დიადია, როგორც ჩვენი დიდი წინაპრისა. სულიერი შეჭირვებისა და მარტოობის ჟამს ილიას „ჩემო კალამოს” ინტონაციები გაკრთება, ანას პოეზიაში. ლექსს „სად მიდრკეს თავი?” - ეპიგრაფადაც ილიას სტრიქონები უძღვის...“

ეპიგრაფის წამძღვარებისა აბა რა გითხრათ, მაგრამ ილიას პოეზიიდან, საკუთარ ლექსებში ციტატების მოხმობაზე არაფერი მსმენია, თუმცა, ვიცი, ეს, მის არარსებობას, სულაც არ ნიშნავს. ილიას პოეზია რაღაცნაირი კუნძულია, რომელიც განცალკევებით დგას, იკვლევენ, და მაინც ჯერ კიდევ ბევრია გამოსაკვლევი.

დროა, ზემოთ ნახსენები, ლექსი გაგაცნოთ. 1992 წელსაა დაწერილი და „ლიტერატურული საქართველოს“ 31 იანვრის ნომერშია დაბეჭდილი, მეექვსე გვერდზე.

სად მიდრკეს თავი?

„ამდენ ხალხში კაცი არ არი,
რომ ფიქრი ვანდო, გრძნობა ჩემი განვუზიარო“
ილია
ოდეს გონების სხივი ბნელდება,
აღარ გამოკრთის. მისი ციალი,
„კაცი არ არი, რომ ფიქრი ვანდო,
და „გრძნობა ჩემი განვუზიარო!“
ჩაუსისინებს ცივქარი ვარდებს, -
არა, მეფობა არ თქვათ სვიანი!
„კაცი არ არის, რომ ფიქრი ვანდო“
და „გრძნობა ჩემი გავუზიარო!...“
„ძისა კაცისა სად მიდრკეს თავი?
მიუსაფრობა -
მისი ზიარი!
„კაცი არ არი, რომ ფიქრი ვანდო
და გრძნობა ჩემი განვუზიარო“.

მართლა კარგი ლექსია, და სწორედ ამ ლექსის შთაბეჭდილების ქვეშ მყოფი კიდევ ერთ აბზაცს გთავაზობთ, ზემოხსენებული ნაშრომიდან:

საქვეყნო ტკივილებზე საუბრისას ახსენდება ილიას ფრაზები: „ზეცას გართმევენ ძალით!“ „რას შემამთხვევს, ვინ იცის, აზრი შენი ცივი წყლის? ...ჰოი, გვედრებ, მდინარევ, იმ დიდ ზღვაში ნუ შეგვრევ!“ ...„წყალვა-კრულვიანი საკითხავი“, „თუ კაცმა ვერ სცნო ჩვენი გული, ხომ იცის ღმერთმა, რომ წმინდა არის განზრახვა და სურვილი ჩვენი?!” (2, 105).

ამავე კვლევაში ამოვიკითხე ერთი აბზაცი, რომელიც ძალიან მომეწონა, გალაკტიონი გამახსენა და ამიტომ თქვენც გიზიარებთ:

„და ამ ლექსის ავტორია პოეტი, რომლის შესახებ კიდევ ერთი მეტად ცნობილი გურული იტყვის: „ვაჟა-ფშაველას შემდეგ პირველი დიდი პოეტი მოგვევლინა.“ მას აქვს მეტად ორიგინალური რელიგიური მსოფლშეგრძნება, სრულიად ახალი პოეტური მეტყველება. მისი შთაგონების წყაროს ქართლის ცხოვრება, ბიბლია, დავით გურამიშვილი, გურიის ფოლკლორი წარმოადგენს. გასაოცარია ეროტიკული მოტივების უქონლობა. მისი ლექსები უფრო რელიგიურ ჰიმნებს ჰგავს, ვიდრე პირად ლირიკურ აღსარებას... რა მშვენიერია მისი კითხვის მანერა, უკეთ ვთქვათ - უმანკოება. მისი ხმის მუსიკა ახლაც მესმის. თუ ჩემს ასაკში ან მდგომარეობაში კიდევ შეიძლება ბედნიერი წუთების განცდა, მე ის გუშინ განვიცადე.

ეს სიტყვები იყო, არა მარტო გერონტი ქიქოძის პირველი შთაბეჭდილება, არამედ აღტაცებაც, რომელიც სამართლიანად დაიმსახურა და ღირსეულად გაამართლა ანა კალანდაძემ.

* * *

მივედი დედასთან, მასადილა, როგორც იცის, აალაგა სუფრა. აბა, გაბედე და მიეხმარე! ჩამოვჯექი ტახტზე, მომიჯდა გვერდით .

- აბა, რა დაამატე დღეს, ილიას? - წავუკითხე, მოუსმინა დაკვირვებით და მითხრა ბარათაშვილსაც აქვს თავის მოდრეკაზე, ლექსში კი არა, წერილში, ზინა ღლონტმა გვასწავლა, ხომ იცი ჩემი მასწავლებელი, რომ იყო.

- კი, ხომ გითხარი, მანანასაც ასწავლიდა, თბილისში რომ გადმოვიდა საცხოვრებლად, მერე კიდეც ერთხელ შეგვხვდა, ვაჟაზე.

- კი, გამახსენდა...

-აბა, ერთი თავის მოდრეკაზე გაიხსენე.

- სად მაქვს ბიჭო ამდენი მახსოვრობა?! - კი ამბობს, მაგრამ, ზუსტად ვიცი, ცდის, როცა ძალიან მოინდომებს შედეგი ერთია: „სად განისვენოს სულმა, სად მიიდრიკოს თავი?"

სიმართლე გითხრათ, არ ვიცი გაიცინა, თუ არა, მაიკო ორბელიანმა წერილის წაკითხვისას, მაგრამ მე რომ გამეცინა, ვამბობ, დასტურ!

- რა გაცინებს? - შემეშალა ხომ?

- არა. - ზუსტად ასეა,

-აბა, რა გაცინებს?! - ისე, უბრალოდ, ვუთხარი და ვაკოცე მარცხენა ლოყაზე!

* * *

მოდით, ნოდარ დუმბაძის დიდებული წერილი გავიხსენოთ, მისი სათაურია „დიდი ილია“. იქამდე ნოდარ დუმბაძის ერთ მოგონებას გაგაცნობთ, ანა კალანდაძის პირველ გამოჩენას, რომ მოჰყვა -„ლიტერატურა და ხელოვნებაში“.

თქვენი არ ვიცი, მაგრამ მოგონების პირველ ნაწილში მოხმობილმა ამბავმა, მე დიდ ილიასთან დამაბრუნა, თუ რატომ ერთხელ უკვე დავწერე, არც ახლა დავიზარებ და ნინო ნაკაშიძის მოგონებას გთავაზობთ:

ეს მოხდა პეტერბურგში, ახლანდელ ლენინგრადში.

1895 წლის ზამთარში მე და ჩემი მეუღლე, ილიკო ნაკაშიძე, მაშინ პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტი, რესტორან „კიუბაში“ სადილად დაგვპატიჟა კომპოზიტორმა მელიტონ ბალანჩივაძემ. მელიტონი მაშინ პეტერბურგში ცხოვრობდა და სტუდენტთა საზოგადოებაში ტრიალებდა. სტუდენტებს უყვარდათ მელიტონი. ამბობდნენ: მელიტონი ქართულ რომანსებს წერს და ქართული ოპერის დაწერასაც აპირებსო.

სადილად ცალკე კაბინეტში ვისხედით. მელიტონი სულ მუსიკაზე ლაპარაკობდა. ამბობდა:

— ქართველებს ოპერა არ გვაქვს და მინდა დავწერო, მაგრამ ისეთი თემა უნდა გამოვნახო, რომ მთელი ჩვენი ერის გენია გამოჩნდესო. მუსიკა ჩვენი მდიდარია, მხოლოდ დამუშავებული არ არის. ჩვენ მუსიკას მხოლოდ იტალიური მუსიკა თუ გაუწევს მეტოქეობას, თორემ, ფრანგული ვერ შეედრებაო. აქებდა უკრაინულ მუსიკას, ამბობდა: ჰანგები საუცხოო აქვთ, მხოლოდ იმათი სევდიანი მუსიკა სჯობს მათ მხიარულ მუსიკასო. აიღეთ ჩვენი ქართული სიმღერები, პირდაპირ შედევრებია: სევდიანიც და მხიარულიც. მაგლითად: რომელი ხალხის სიმღერა შეედრება ჩვენ სვანურ სიმღერას „ლილეს“. აიღეთ, თუ გინდა, „ხელხვავი“ — გურული სიმღერა, თუნდ „ნადური“, ვისა აქვს ისეთი გამყივანი „ია-უა“ გურული რომ დასძახებს... ეს შედევრია, შედევრი...

ცოტა ხანს დაჩუმდა და მერე განაგრძო:

— მე მინდა ოპერის თემად ავიღო „მეფე დიმიტრი თავდადებული“, უწინ ვფიქრობდი „დედა და შვილზე“ შევჩერებულიყავი, მაგრამ ოპერისათვის ძალიან პატარაა. დიდი ხანია მაქვს კიდევ ერთი თემა აკაკის „თამარ ცბიერი“... შენ რას ფიქრობ, ილიკო?

ილიკომ უპასუხა:

— მე ძალიან ცუდი მუსიკოსი ვარ, მელიტონ. შენ წარმოიდგინე, „ყარანაის“ მეტი სიმღერა არ ვიცი.

— არა, კაცო, იქნება მამაშენისაგან გაგიგონია, ილია და მამაშენი ხომ დიდიხნის მეგობრები არიან. იქნება, უთქვამთ რამე ქართული ოპერის შესახებ.

ილიკომ უთხრა, რომ როგორც ვიცი, ილიას და მამაჩემს ჰქონიათ ლაპარაკი ქართული ოპერის შესახებ, ორივეს მწუხარება გამოუთქვამთ, კომპოზიტორი არ მოგვეპოებაო.

— ეჰ, შე კაცო, მერე შენ ვერ უთხარი რომ მე აქ ვიყავი? — იოხუნჯა მელიტონმა.

ილიკომ ურჩია, რომ თვითონ მელიტონს მიემართა ილიასათვის.

— ოჰ, მეც ასე ვფიქრობ, — თქვა მელიტონმა, — მაგრამ იმასაც ამბობენ, ილიას მუსიკის არაფერი გაეგებაო. მაინც ჯერ მე საბოლოოდ თემის არჩევანზე უნდა შევჩერდე. „დიმიტრი თავდადებულში“ საოცარი ადგილებია ოპერისათვის: ერთი ის რად ღირს, როდესაც თათბირი აქვს მეფეს დიდებულებთან, როდესაც ყველა ღელავს და მეფე თავის გადაწყვეტილების გასამართლებლად მიმართავს მღვდელმთავარს.

ის ადგა, ორივე ხელი გასწია ილიკოსაკენ და მიმართა მას სიმღერით:

„შენ რას იტყვი, მღვდელმთავარო,
სიტყვა შენი გვიღირს ძვირად!“.

ილიკო სწრაფად წამოდგა, თითქოს, ისიც აპირებდა სიმღერით პასუხის მიცემას.

— თუ ღმერთი გწამს, ილიკო, „ყარანაი“ არ იმღერო, — უთხრა მელიტონმა სწრაფად ილიკოს და ორივემ გადაიხარხარა. — აქ რაღაც სერიოზული და დამაჯერებელი პასუხია საჭირო, განაგრძო მან, რაღაც დიდებული, საგულდაგულო მუსიკა უნდა, რომ სავსებით ასახოს მდგომარეობა. ისიც კი უნდა ითქვას, რომ ვინ მოგცემს ახლა მღვდელმთავრის სცენაზე გამოყვანის ნებას... ესეც ცოტა არ იყოს, ხელს მიშლის და მინელებს წერის სურვილს.

— შენ დასწერე, მელიტონ, და მანამდის...

— ეჰ, — გაიცინა მელიტონმა, — შენც არჩილ ჯორჯაძესავით ლაპარაკობ, — ამბობს: სანამ შენ მაგ ოპერას დასწერდე, ვინ იცის, რა მოხდებაო. ხედავ, რამდენ სტუდენტს იჭერენ, იქნებ, რევოლუცია მოხდესო. მაგრამ ახლა ისიც კია, რომ ილია ჭავჭავაძე თანდათან კარგავს პოპულარობას და მისი პოემის აღება თემად...

— მართალია ილია ჭავჭავაძე მთელი თავისი ენერგიით შთანთქა ბანკის საქმიანობამ, მაგრამ არა მგონია, რომ ის, რაც დასწერა, იმან დაკარგოს მნიშვნელობა. შენ ვერ წარმოიდგენ, მელიტონ, რა კოლოსალური ჭკუა აქვს ილიას... — მიუგო ილიკომ.

— აბა, რა ვიცი, აქ, სტუდენტები კი აკრიტიკებენ...

გული მოგიკვდება, ჩემს მიერ ხაზგასმულ ფრაზებს რომ წაიკითხავ, გაიაზრებ, იმწამსვე ტექსტიდან „გაქცევას“ ლამობ!

ნოდარ დუმბაძის მოგონება პირიქითაა, გიწვევს და სხვებისთვის გაზიარების სურვილს გიჩენს, ამიტომაც გაგიზიარებთ მის მოგონებას.

ანა კალანდაძე

გაგიკვირდებათ, მაგრამ პირველი



სიტყვა, რომელიც ანას მისამართით გავიგონე, ბოროტი და გამქირდავი იყო, უნივერსიტეტის წინ, ჭადრის ჩრდილში, ერთ ვიღაცას გაზეთი „ლიტერატურა და ხელოვნება“ გაეშალა და მეორეს უკითხავდა

— ნახე რას წერს — „ყაყაჩოს ღვინო სალხინოვო“. ყაყაჩოს ღვინო თუ გაგიგია შენ?

— არ გამიგიაო, — ეუბნებოდა მეორე და იცინოდა.

1946 წლის 14 ივნისი იყო. შევედი სტუდენტთა სამკითხველოში — გაზეთი არ ჰქონდათ, შევედი პროფესორთა და ასპირანტთა ბიბლიოთეკაში — გაზეთი არ ჰქონდათ. კიოსკს მივადექი — გაზეთი აღარ იყო. იმ დღეს თბილისში გაზეთი „ლიტერატურა და ხელოვნება“ გაწყდა.

ჩათვლა გვქონდა ეკონომისტებს „ფულსა და კრედიტში“, 27 კაცი ველოდით ლექტორს. აუდიტორიაში პროფესორი ნიკოლოზ ქოიავა შემოვიდა, მაგიდას მიუჯდა, ერთხანს ჩუმად იჯდა, მერე დაფასთან გამომიძახა, გაზეთი „ლიტერატურა და ხელოვნება“ გამომიწოდა და მითხრა: „читай думбадзе, вслух читай!“ ვკითხულობდი:

და რა ქალი?! ხელის გულით
სატარები,
რა თვალები? ელვის ცეცხლის
დამჭერი,
ბოშა ქალი, ვარსკვლავების
სადარები,
შეხედეს და შეუკურთხეს
გამჩენი

რომ დავამთავრე, არავის არ უკითხავს, შეიძლებოდა თუ არა ხელისგულით ქალის ტარება, თვალებით ელვის ცეცხლის დაჭერა, ქალისათვის გამჩენის შეკურთხება, სანაპიროზე სტვენა და ფეხშიშველა სიარული და სხვა ამგვარი.

ყველა მე მიცქეროდა და მე კი ყველას, ასეთი საყოველთაო განცვიფრება და დუმილი პირველად მოვისმინე.

და ანიკოს ოჯახს ააშენებს ღმერთი. პროფესორმა გაზეთი სათუთად დაკეცა, ჯიბეში ჩაიდო, ადგა და წავიდა. იმ დღეს ჩათვლა ყველამ მიიღო.“

თქვენც და ყველა, ახლა წარმოსახვითად იჯდა იმ ჩათვლაზე და გაკვირვებული უსმენდა ნოდარ დუმბაძის წაკითხულ ანას:

და რა ქალი?! ხელის გულით
სატარები,
რა თვალები? ელვის ცეცხლის
დამჭერი,
ბოშა ქალი, ვარსკვლავების
სადარები,
შეხედეს და შეუკურთხეს
გამჩენი.

გიო კილაძე

(გაგრძელება იქნება)

გიგლა გიორგაძემ უფლისგან ნაბოძები შემოქმედებითი ნიჭი ფოტოხელოვნების უფრო დიდ სიმაღლეზე აყვანაში გახარჯა

გურიის უფროსი თაობის ფოტოხელოვანების უკანასკნელი მოჰიკანიც წავიდა გასულ სამშაბათს, **გიგლა გიორგაძე** გავაცილეთ უკანასკნელ გზაზე.

გიგლა გიორგაძე ჩოხატაურის რაიონის სოფელ კოხნარიდან გახლდათ. სავალდებულო სამხედრო სამსახურის გავლა მას გერმანიაში მოუწია და აქ ეზიარა ფოტოგრაფიის საიდუმლოს. სამხედრო ნაწილის ფოტოგრაფი იყო.

უფლისგან ნაბოძები შემოქმედებითი ნიჭი მან ფოტოხელოვნების უფრო დიდ სიმაღლეზე აყვანაში გახარჯა.

1964 წელს, იგი როგორც უკვე აღიარებული ფოტოხელოვანი იმჟამად გურიის რეგიონულ გაზეთში მიიღეს ფოტოკორესპონდენტის თანამდებობაზე და 30 წელი იმოღვაწა შემდგომში გაზეთ „ალიონის“ რედაქციაში. არ იყო ადვილი რესპუბლიკაში აღიარებული გაზეთში მუშაობა. ეს იყო ყოველდღიური გადაღებები, ღონისძიებები, სხვადასხვა დელეგაციების ვიზიტებზე დასწრება და ა.შ.

გიგლა გიორგაძე შემოქმედებითი პიროვნება იყო და ქ. ოზურგეთში შექმნა მხატვრული ფოტო სალონი „ია“, რომელმაც ფაქტიურად შეცვალა ფოტოგადაღების დამკვიდრებული სტერეოტიპები. ამ სტუდიაში იმჟამად კრეატიულ ფოტოებს იღებდნენ. გიგლამ ოზურგეთში შემოიტანა ერთგვარი მიმდინარეობა „შუქწერა.“

80-იან წლებში დიდი პოპულარობით სარგებლობდა მისი შემოქმედებითი სახელოსნო, სადაც საქართველოს ისტორიული ძეგლების ფოტორეპროდუქციებს, სხვა ნაწარმს ამზადებდნენ, რომლის მოთხოვნილება იმჟამინდელ განათლების სისტემაში დიდი იყო.

გიგლას გიორგაძის სახელოსნოში დამზადდა ქ. ოზურგეთის იმჟამინდელი სავიზიტო ბარათი, დიდი ილიას ცნობილი ტრიადა: „სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპათაგან: მამული, ენა სარწმუნოება,“ რომელიც ქალაქის შემოსასვლელში –გმირთა მოედანზე, ფოტოალონ „იას“ კედელზე იყო განთავსებული.

1992 წლიდან გიგლა გიორგაძე ქ. თბილისში გადავიდა საცხოვრებლად და შვილთან, დავით გიორგაძესთან ერთად, რომელიც ბოლო წლებში გაზეთ „ალიონის“ რედაქციაში მუშაობდა, დაარსეს ფოტო სტუდია „დაგი“.

გიგლა და დავით გიორგაძეების ფოტოსტუდიამ ძლიერი კონკურენცია გაუწია თბილისურ სტუდიებს. ისინი ამზადებდნენ სახელმწიფო ფილარმონიის სარეკლამო ბანერებს, თანამშრომლობდნენ „ლომისი ჯგუფთან“. მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს „ერისიონის“ ცნობილი კლიპის მომზადებაში, სადაც გიორგაძეების სტუდიის ნამუშევრები იყო გამოყენებული.

სტუდია გამოსცემდა ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლების ბუკლეტებს, კვლავ ამზადებდნენ ბუკლეტებში შეტანილი ხუროთმოძღვრების ძეგლების ფოტორეპროდუქციას, სხვა პროდუქციას. ეწეოდნენ ქველმოქმედებას.

2013 წელს, საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაზეთ „ალიონის“ მე-10 000 ნომრის გამოსვლასთან დაკავშირებით, ბიბლიოთეკის დირექტორის გიორგი კეკელიძის ინიციატივით საიუბილეო გამოფენა გაიმართა. ამ გამოფენის მომზადებაში უდიდესი წვლილი შეიტანა გიგლა გიორგაძემ, რომელიც ბოლომდე ერთგული „ალიონელი“ დარჩა.

სამწუხაროდ, გიგლა გიორგაძის ვაჟი დავითი რამდენიმე წლის წინ გარდაიცვალა

იქნებ არაა ცოტა 88 წელი, მაგრამ იგი სიცოცხლის ბოლო დღესაც მუშაობას აგრძელებდა.

გიგლას წარმატებებში დიდი წვლილი მიუძღვოდა მის მეუღლეს, ქალბატონ ციალას, რომელიც წლების განმავლობაში ოზურგეთის მუზეუმში მუშაობდა.

შესანიშნავი შვილები ნინო, მარინა, შვილიშვილები, შვილთაშვილები

უფალმა ნათელში ამყოფოს მისი სული.

„ალიონელები“

გზები და ხიდები აჭარაში



კინტრიშის რკინის ხიდი.

1928 წლის 23 ნოემბერს აჭარის სახკომსაბჭოს სხდომაზე (თავმჯდომარე ლევან გამყრელიძე) აჭარმრეწველობის სამმართველოს მიერ წარმოდგენილი იქნა პროექტი (ხარჯაღრიცხვა 1000-000 მანეთი) ყარა-შალვარის ტყის მასივების ათვისების შესახებ და ბოლოყის მთიდან ქალაქ ბათუმამდე ლითონის კონსტრუქციის (სადგურები და ბოძები) რკინის თოკის საჰაერო გზის გაყვანის საკითხი. 1923 წლის 27 დეკემბერს შეიქმნა საზოგადოება „ავტოგზა” რომლის რეზიდენცია განთა-ვსებული იყო ლენინის ქუჩაზე (დღევანდელი კონსტანტინე გამსახურდია) კინოთეატრ „პიკადილის“ გვერდით. მისი პროგრამა მოიცავდა ავტოსატრანსპორტო საკითხებს, ავტომეურნეობებს, ამიერკავკასიის გზებისთვის ტრანსპორტის შერჩევას, ავტოტრანსპორტის ექსპლოატაციას, ავტოტრანსპორტის აღრიცხვას და ა.შ. **[ასს. ფ. რ-2 677, ან. 1, ს. 192, ფურც. 1]**

1929 წლის 1 მარტის სახკომსაბჭოს გადაწყვეტილებით რკინიგზის სამმართველოს მიერ საბარგო სადგურიდან თბილისის ქუჩაზე (დღევანდელი ბარათაშვილსი ქუჩა) დაიგო 3 ლიანდაგი **[ასს. ფ. რ-2, ან. 1, ს. 755, ფურც. 54]**

1930 წელს განახლდა ჩაქვისთავის კლდოვანი გზის მშენებლობა, რადგან კლდიან ადგილებში მგზავრობა შეუძლებელი გახდა **[ასს. ფ. რ-4, ან. 1, ს. 383, ფურც. 43]**

ჯერ კიდევ 1913 წლის 18 თებერვალს კავკასიის მეფისნაცვლის ბრძანების საფუძველზე მდინარე საკალმახედან მახინჯაურში გრაფ დაშკოვის აგარაკთან არსებული გზის გაგრძელებაზე ააშენეს რკინა-ბეტონის ხიდი. მახინჯაურის ხიდის მშენებლობაზე გარკვეული თანა გაიღეს აგარაკთმფლობელებმა გენერალმა ასეევმა, პოლკოვნიკმა გუბანოვმა, პოლკოვნიკმა კალიშევსკიმ, ადმირალმა ვერბოლოზოვმა, სახელმწიფო მრჩეველებმა გიველმტევმა და სტრაშკევიზმა, ასევე ქალბატონებმა მ.ნ ფესენკომ და კრეტკოვსკაიამ **[ასს. ფ. ი-74, ან. 1, ს. 1, ფურც. 2]**

საგზაო ხიდები აკავშირებდა სოფელ სოფელთან, ქალაქს სოფელთან და წარმოადგენდა სამგისტრო გზის მთავარ ნაწილს. 1924 წლის 22 ნოემბერს აჭარის სახკომსაბჭოს თავმჯდომარე იუწყებოდა, რომ აუცილებელი იყო მდინარე ოჩხამურთან დამაკავშირებელი ხიდის მშენებლობა. სოფელ წყავროკაში ხიდის მშენებლობას ხელმძღვანელობდა ბათუმი-ქობულეთი- ნატანების გზების მშენებლობის სამმართველო. ამავე დროს განახლდა მდინარეების აჭარისწყლის, ჭოროხის ხიდების მშენებლობა. ხუცუბნის ხიდის ასაშენებლად აუცილებელი გახდა არხის გაყვანა. სოფელ ვაიოში აშენდა ჯაჭვის ხიდი. ასევე აშენდა სოფელ ჭაობში (ბათუმის რაიონი) პავლოვის არხზე, სოფლების ფერიის, მახმუდიის, მდინარე მეჯინა-სუს ხიდები **[ასს. ფ. რ-2, ან. 1, ს. 245, ფურც. 23]**

დიდი ყურადღება ექცეოდა გზების გაწმენდას, მის მოვლა პატრონობას. ამის ერთ-ერთი მაგალითია 1928 წელს აჭარის სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მიმართვა აჭჰესის სამშენებლო კომიტეტისადმი. მასში საუბარია აწჰესის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული გზის გაფუჭების საშიშროების და მისი სასწრაფოდ გაწმენდის შესახებ .1927 წელს გაკიდული ხიდი აშენდა ბათუმის მაზრაში, დოლოგანში და ბაბუჩ-ოღლში, ქედის მაზრაში- ვაიოში, ქობულეთში- სოფელ აჭში. გაკიდული ხიდი სოფელს სოფელთან და მთას ბართან აკავშირებდა.

1927 წელს სოფელ დაგვის კოოპერატივი, სასოფლო სამეურნეო პროდუქტებით ქალაქის უზრუნველყოფის მიზით აჭარის ხელისუფლებას თხოვნით მიმართავს, რომ გაიყვანოს გზა დაგვასა და ქობულეთს შორის, რომელიც დააკავშირებდა სოფელს ქალაქთან. არ გასულა დიდი დრო და დაგვაში მიავლინეს სპეციალისტები გზის მშენებლობის გეგმის შესადგენად **[ასს. ფ. რ-2, ან. 1, ს. 692, ფურც. 6]**

ამავე დროს, თურქეთის საზღვარზე, 7 კილომეტრიან ზონაში გამოსავლელი გზის ნებართვაზე გადასახადის დაწესების საკითხის მოსაგვარებლად გამოყვეს კომისია ზექერია ლორთქიფანიძის თავმჯდომარეობით. ბათუმის ოლქის გზატკეცილების მშენბლობის უფროსად დაინიშნა ინჟინერ-ტექნიკოსი ს.დ. ფირალაშვილი, პირველი ინსტანციის უფროსის თანაშემწე ნიკოლოზ საბას ძე ცომაია, მეორე ინსტანციის თანაშემწე პერე მიხეილის ძე მენშენკოვი, ტრანსპორტის განყოფილების გამგე გრიგოლ ივანეს ძე მაჭავარიანი **[ასს. ფ. ი-74, ან. 1, ს. 3, ფურც. 1]**

1932 წლის 3 აგვისტოს ამიერკავკასიის გზის ტრანსპორტის მთავარი სამმართველოს უფროსმა ინჟინერმა რეკიმ, საქართველოს გზათა სამმართველოს წარმომადგენლებმა სიმონსოვმა და პეტროვმა და აჭარის გზათა სამმართველოს ინჟინერმა დ. გაბუნიამ და კეკედჯანმა დაათვალიერეს ბათუმი-გოდერძის გზა. 62 კილომეტრიან გზის მონაკვეთში, მთებს შორის არსებული დაკლაკნილი გზის მშენებლობა დიდ სიფრთხილესთან იყო დაკავშირებული, განსაკუთრებით თოვლის დნობის, წვიმების და წყლის დონის ამაღლების დროს. კლდიდან ქვების ცვენის შედეგად გზა გრუნტით იფარებოდა და ტრანსპორტით მოძრაობა შეუძლებელი იყო. აუცილებელი იყო კლდის დამცავი ზღუდეების აგება, რაც დიდ ხარჯებთან იყო დაკავშირებული. ასე მაგალითად, 5 მეტრის სიმაღლის და 247 მეტრის სიგრძის კედლის გამაგრებაზე იხარჯებოდა 296. 400 მანეთი. 313 მეტრზე გზის გაფართოვება აღწევდა 30000 მანეთს, ხოლო დამატებით გზის სხვადასხვა სამუშაოების ჩათვლით დანახარჯი შეადგენდა 258. 265 მანეთს**[ასს. ფ. რ-4, ან. 1, ს. 383, ფურც. 99]**

ამავე პერიოდში აჭარცაკის პრეზიდიუმმა გზების დაზიანებისგან თავდაცვის მიზნით მიიღო სპეციალური დადგენილება 1. საკავშირო მნიშვნელობის პირველი კლასის გზად აღიარეს ბათუმი-გოდერძის უღელტეხილი, რესპუბლიკური მნიშვნელობის გზად დაამტკიცეს სხალთა და სარფი, ხოლო ადგილობრივი მნიშვნელობის გზად (მე-6 კლასი) ახალშენის, ორთაბათუმის, ბობოყვათის და ჭახათის გზები, ასევე განსაზღვრეს ზემოთ აღნიშნული გზების სიგანის ნორმები. აიკრძალა გზის სარტყელში ნაგებობების მშენებლობა, ტყის გაჩეხვა და ა.შ. ამიერკავკასიის სამხედრო უწყება აწარმოებდა შუბანის (იორამი) სამხედრო გზის მშენებლობას. აღნიშნული გზის მშენებლობაში გაწეული დიდი შრომისთვის შუბანის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ს. ბერიძემ გზის მშენებელი მ. მახარაძე იარაღით დააჯილდოვა **[ასს. ფ. რ-2, ან. 1, ს. 383, ფურც. 205]**

აჭარის გზის მშენებლობაში აქტიურ მონაწილეებს იღებდნენ **გურიის** შრომითი ბრიგადები. გურიის სოფელ შემოქმედის მკვიდრი **თეოფილე ოქროპირის ძე ერქომაიშვილი** ბათუმი-გოდერძის გზის და ოზურგეთის რკინიგზის მშენებლობის საქმეში გაწეული დიდი ღვაწლისთვის წარადგინეს შრომის გმირის წოდებაზე და დაუნიშნეს პერსონალური პენსია 120 მანეთის ოდენობით.

დანართის სახით წარმოვიდგენთ საარქივო-დოკუმენტურ მასალას, რომელიც ნათლად წარმოაჩენს XIX-XXსს. აჭარაში წარმოებულ გზათა მშენებლობის საქმეს.

მერაბ მეგრელიშვილი

სამგლოვიარო განცხადება

ნუგზარ, გიორგი ასათიანები, ნინო ნიკოლაიშვილი თანაუგრძნობენ დინარა მურცხვალაძეს, შალვა სურგულაძეს შვილისა და ძმის **თენგო ენვერის ძე სურგულაძის** გარდაცვალების გამო.

ირაკლი ტულუშის კიდევ ერთი აღიარება და წარმატება!



9 აგვისტოს მსოფლიოს ჯიდოკვანის ფედერაციამ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სპორტულ- გამაჯანსაღებელ დაწესებულებათა გაერთიანებასთან არსებული ტაეკვანდოს სექციის მწვრთნელს, ირაკლი ტულუშს ჯიდოკვან ტაეკვანდოში მიანიჭა შავი ქამარი, მე- 7 დანი.

უკვე მოგვიანებით, 24 აგვისტოს ირაკლი ტულუშმა აიღო ჯიდოკვანის მსოფლიო ლიცენზია II კლასი. სულ არის III კლასი. I, II და 3 კლასი.

აღსანიშნავია ის რომ, სერტიფიკატები კორეიდან საქართველოში რეკორდულ დროში ჩამოვიდა.

ჯიდოკვანი ერთ-ერთი მოწინავე ფედერაციაა იმ 9 კვონიდან, რომლისგანაც WT ტაეკვონდო (ოლიმპიური ტაეკვონდო) შეიქმნა.ჯიდოკვანი ანუ (სიბრძნის სკოლა) ასე უწოდებენ მას.

„მინდა დიდი მადლობა გადავუხადო ჯიდოკვანის მსოფლიო ფედერაციას და ასევე ჩემს რეკომენდატორს კჰალილ ჯაბრანს. ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია კონტაქტი საერთაშორისო და ცნობილ ფედერაციასთან კორეაში. მათი ნდობა და აღიარება ჩემთვის დიდი პატივია “ – ამბობს ირაკლი ტულუში, ტაეკვანდოს მწვრთნელი

„გურული სიმღერა უნიკალური ფენომენია, რაც სულის საზრდოა ჩემი!“

მარცხნიდან: თამაზ სალუქვაძე, ბადრი ინგოროყვა, ნოდარ დუმბაძე

ბადრი ინგოროყვა – ბიოლოგი, ხელოვანი, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის ბავშვთა საერთაშო-რისო ცენტრის დირექტორი, მთამსვლელი.

პირველი, ცნობილი ჟურნალისტის, ეთერ ქადეიშვილის (ამჟამად სქიმ მონაზონი დედა ეკატერინე) წიგნი „ელესა“ გადავფურცლეთ და წლების წინ ბადრი ინგოროყვასთან ჩაწერილი ინტერვიუ **„სიმღერა –სულის საზრდო!“** წავიკითხეთ:

* * *

„– რა არის სიმღერა ბადრისთვის?

–გურული სიმღერა უნიკალური ფენომენია, რაც სულის საზრდოა ჩემი!

შეიძლება თქვა ამაზე გააზრებულად და მორგებულად?!

–როგორ დაიწყო მისი სიმღერის გზა?

–ხელოვნებაში მოვედი ცეკვით. 8 წლის ბიჭმა, თბილისის ოპერისა და ბალეთის თეატრში, ქართული ცეკვის შესრულებისთვის მივიღე უმაღლესი ჯილდო.

მერე, სიმღერას თავის სასარგებლოდ გადაუწონია ცეკვა. ცნობილი მომღერლების, მაკვანეთელი მამაშვილის ილარიონ და ტრისტან სიხარულიძეების ნათლულად მიაჩნია თავი. ამ ოჯახის მადლი ჩემზე გადმოვიდა და ჩემი ცხოვრება მთლიანად შეცვალაო.

–რა იგულისხმება ამ შეცვლაში?!

–1961 წელს ანსეულის ინსტიტუტში ვიყავი სადიპლომო ნაშრომის შესასრულებლად. 14 იანვარს, კალენდობას, თოლა-ბურთაობაში ვეჯიბრებოდით ერთმანეთს ბიჭები. მაშინ კომკავშირის მდივანი იყო გენიალური **ზაურ ბოლქვაძე**...*ჩვენი გაცნობა და პიანინოსთან მოხდა, მერე, გიტარაზე დავუკარი. მოისმინა, მოეწონა. მე ხალხური შემსრულებელი ვარ, ამიტომ ნოტებით სიმღერის შესრულება არ შემიძლია. სხვა რიტმით ვუკრავდი გურულ სიმღერას...*

მერე გახდა ანსამბლ „შვიდკაცას“ წევრი. მღეროდა დიდებულ მომღერალ **მიხეილ შავიშვილთან** ერთად, „ნადურით“ მსოფლიო მოვიარეო. იგი ხომ 34 წელი „შვიდკაცას“ შეუცვლელი წევრი იყო.

საოცარი სიყვარულით იხსენებს ანასეულის ინსტიტუტის დირექტორს, ბატონ **ვახტანგ ჯაყელს.**

– ჩემი გენერალური სპონსორი იყო. ხშირად დავდიოდი გასტროლებზე. ის კი, ხელფასის შენარჩუნებით „მათავისუფლებდა“ სამსახურიდან... რას მივხდი გასტროლების დროს? –ქართული სიმრერა მსოფლიო პოლიფონიური სიმღერის მეფეა!

შემდეგ ანსამბლ „ელესაში“ დაიმკვიდრა ადგილი. 10 წელი ელესას განუმეორებელი ბარიტონი იყო.

გარდაიცვალა ბატონი ვლადიმერ ერქომაიშვილი და...

ჩემი მოსაუბრე გაირინდა, თითქოს, დიდი სიმღერის ძალამ შეაკრთო და წარსულში ტკივილით დააბრუნა.

– რა იყო მერე? უბრალოდ, ლხინის მაგიდის მომღერლად დავრჩი! თუმცა, არც ის მავიწყდება, ბატონ ანზორ ერქომაიშვილის დავალებით, ოზურგეთში, 90-იან წლებში, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის ბავშვთა ანსამბლი რომ შევქმენი.

ბავშვობის ხსენებამ გადამაწყვეტინა ბავშვობაში დამებრუნებინა...

დედულეთი, ძიმითი და მომღერალი ძმები ხინთიბიძეები გაიხსენა. ბებიას და ბაბუას სახლში უყვარდა ასვლა. ამღერებული ოჯახი სიხარულით ავსებდა, ცდილობდა, ბავშვური ხმა უფროსებისთვის „მოერგო“ – აკი შეძლო კიდეც.

მამაც, ილიაც ოჯახის მომღერლად ითვლებოდა.

მერე ცოლი შეირთო –მუსიკის მასწავლებელი მერი თოდრაძე. ბიჭებიც გაჩნდნენ –ილია და კახა! თავისებურად შეერწყა ერთმანეთს ხალხური და კლასიკური, თუმცა, კახა უფრო ხალხური სიმღერებით იყო გატაცებული.

შვილები და შვილიშვილები ახლა საზღვარგარეთ არიან.

–პატარებმა იციან ქართული?

–ქართულიც იციან და სიმღერაც. ტელეფონში მათ სიმრერას რომ გავიგონებ..

ეს მართლაც ბავშვობაში დაბრუნებაა. დაბერება რომ არ უწერია, ისეთი ძალაა, ამ ძალას სიმღერა ჰქვია, სიმღერა, რომელიც ბადრი ინგოროყვასთვის სულის საზრდოა.**(ია თავდუმაძე, „ელესა,“ 2018 წ,).**

* * *

გასული საუკუნის 70-იანი წლებში, სტუდენტი ვიყავი, ოზურგეთის რაიონულ კულტურის სახლში რომ დავიწყე მუშაობა. ბადრი „შვიდკაცაში“ მღეროდა და მალე დავმეგობრდით. ვსაუბრობდით თუ როგორ გაიცნო მან სახელოვანი მწერალი **ნოდარ დუმბაძე,** „შვიდკაცას“ უცხოურ ტურნეებზე.. ხანდახან საუბარი იმჟამინდელი წყობისთვის მიუღებელ თემებზე „გაგვექცეოდა.“. ერთხელ გრიგოლ რობაქიძის „გველის პერანგის“ ნაწყვეტები მომიტანა და მითხრა: –ნურავის აჩვენებ. ჩუმად გადაწერე და გქონდესო. ერთ კვირაში

ანსამბლი „შვიდკაცა“ 70-იანი წლები

დედანი დავუბრუნე. ბადრის რჩევას არ დავუჯერე, ვენდე და „ასლი“ ერთ-ერთ ტექნიკურ მუშაკს წავაკითხე. მთხოვა, გადავწერო ერთი კვირის შემდეგ უშიშროებაში დამიბარეს...

ბადრის ძალიან უყვარდა მშობლიური სოფელი მაკვანეთი. ამაყობდა აქაური კოლორიტი მომღერლებით..

ბადრის შვილებიც ილია და კახა კარგად მღეროდნენ ხალხურ და კლასიკურ სიმღერებს. ამისთვის მათ წრთობა მიხეილ შავიშვილის ბავშვთა ანსამბლ „კრიმანჭულში“ გაიარეს.

1989 წელს, 9 აპრილის ტრაგედიის შემდეგ, ძმები ინგოროყვები ოზურგეთის თეატრის შესასვლელში მეგობართა ჯგუფთან ერთად „შავლეგოთი“ და „ჩემო კარგო ქვეყანავ“ ამხნევებდნენ თეატრის კიბეებზე მსხდომ მოშიმშილეებს.

მთამსვლელი

ბადრი ინგოროყვა 1996 წელს ახლადშექმნილ ტურისტულ-ალპინისტურ საზოგადოება „გურიის მთებს“ შემოუერთდა.

კლუბის გაზეთში „გურიის მთები“ ინტერვიუში იგი ამბობდა, რომ ადამიანის ყველაზე მეტი დანიშნულებაა ჰქონდეს მაძიებელი სული, ხოლო ბუნებასთან მიახლოება კი გამოხატულებაა იმისა, რომ ვისწრაფვით სრულყოფისაკენ.

ბადრი ხიფათიან, მაგრამ საინტერესო საქმეში ჩაერთო.

1997 წლის აგვისტოში „გურიის მთების“ წევრები გერგეთის მყინვარის გავლით კავკასიონზე ავიდნენ და მეტეოსადგურში დაბანაკდნენ. ბადრიმ სწრაფად დაამყარა ურთიერთობები ესპანელ, ჩეხ, რუს და სხვა უცხოელ მთამსვლელებთან.

1997 წლის 19 აგვისტოს ჯგუფი (თამაზ ბაქანიძე, რევაზ ცქვიტინიძე, ნუგზარ ასათიანი, შოთა ცხომელიძე) გერგეტის მყინვარის ერთ-ერთ მწვერვალზე – ორწვერზე ასასვლელად გაემზადა. ამინდი თანდათან შეიცვალა და ჯგუფი ძალიან რთულ პირობებში ავიდა მწვერვალზე. ძალიან გაუჭირდათ დაშვება და გვიან ღამით დაბრუნდნენ ბანაკში. ბადრის და ჟურნალისტ ნატო შათირიშვილს ცხელი წვნიანი მოემზადებიათ –მაგათ ჭამის თავი სად ექნებათ, იქნებ ეს მაინც მიიღონო...ასე გავხდით უკვე „თოკის მეგობრები.“

რევაზ ცქვიტინიძის მოგონებიდან: *–ზუსტად არ მახსოვს, 2004 თუ 2005 წელი იყო. ჩვენი კლუბის წევრის შოთა ცხომელიძის ახლობლებმა –იარაჯულებმა ფშავ-ხევსურეთის მთებში სამოგზაუროდ მიგვიწვიეს. წასვლისხანს მამა კვირიკემ დაგვლოცა სოფელ შემოქმედში, ზარზმის ფერისცვალების ღვთისმშობლის ეკლესიაში. მახსოვს გარეთ ძლიერ წვიმდა. მამაო სამგზავრო ლოცვებს კითხულობდა, ბადრი ერთ-ერთ ხატთან დაჩოქილი იდგა და ლოცულობდა. მამამ ლოცვა დაასრულა და ნაკურთხი წყალი გვაპკურა. ბადრიმ წყლის შხეფი შეეხო თუ არა, ჯერ ტაძრის გუმბათისკენ გაიხედა, ხომ არ უვლისო, მერე შემოგვხედა და მამაოს გაუღიმა...*

ფშავში, ლახტოს ხეობაში დიდი პატივით მიგვიღეს იარაჯულებმა. ბადრი განსა-კუთრებული ყურადღების ქვეშ ჰყავდათ – რა მაგარი ხმა ჰქონიაო...

ხშირად დავდიოდით აჭარა-გურიის მთებში. თან დაჰყავდა განუყრელი მეგობარი ინგლისური სეტერი. ერთხელ, გვიან შემოდგომაზე ბახმაროში ყოფნისას გაგვითოვა და მეტეოსადგურის შენობაში გვიმასპინძლეს მეტეოს თანამშრომლებმა. ცალკე თემაა მის მიერ შექმნილი ანსამბლი „ტყის ძმები“, რომლის სოლისტები კოლორიტი ოზურგეთელი თენგიზ ბერიშვილი და რევაზ ცქვიტინიძე იყვნენ.

ოტია იოსელიანი

შემდგომში ჩვენს ტურისტულ კლუბს „ქორბუდე“ ეწოდა და ბადრი ინგოროყვა გამგეობის წევრად ავირჩიეთ. 2002 წლის გაზაფხულის ერთ-ერთ ლამაზ დღეს მისი ინიციატივით ცნობილ ქართველ მწერალს **ოტია იოსელიანს** ვესტუმრეთ წყალტუბოს რაიონის სოფელ გვიშტიბში. ამ სტრიქონების ავტორის გარდა დიდი მწერლის სტუმრები იყვნენ ტელეოპერატორი რევაზ ცქვიტინიძე, ექიმი გია თავბერიძე, რეჟისორი ავთანდილ სირბილაშვილი.

ეს იყო საყვარელ მწრალთან მისი ნიჭის თაყვანისმცემლების გულითადი შეხვედრა. ერთად პური გავტეხეთ, ქვეყნის ჭირ-ვარამზე ვისაუბრეთ, წინაპართა ნაკვალევს მოვეფერეთ და ბადრის მონდომებით სამომავლო ურთიერთობებზე შევთანხმდით –ბატონი ოტია ოზურგეთში მოვიპატიჟეთ.

22 ივნისს მწერალი საპასუხო „ვიზიტით“ გურიას ეწვია. მასთან ერთად იმყოფებოდნენ მწერლის ლიტერატურული სალონის წევრები. მწერალმა პირველად სოფელ ზენობანში ნოდარ დუმბაძის სახლ-მუზეუმი ინახულა, შემდეგ კურორტ ბახმაროს ესტუმრა და გურიის მხარის ამ საოცრების განუმეორებელი პეიზაჟი იხილა. ბადრის მიერ ორგანიზებული სუფრასთანაც ლამაზი სიტყვები წარმოსთქვა. საღამოს მწერალი ოზურგეთში, გურიის ტელევიზიის ღია ეთერით წარსდგა მაყურებლების წინაშე.

მწერლის სტუმრობა დიდ ზეიმას იქცა, ოზურგეთის თეატრში დიდი შეხვედრა გაიმართა. მწერალს ბადრი ინგოროყვამ და საქართველოს მწერალთა კავშირის გურიის ორგანიზაციის თავმჯდ-ომარე გიზო ჭელიძემ მიმართეს...ბადრი შემდეგ ხშირად სტუმრობდა გვიშტიბს..

ოტია იოსელიანი როცა გარდაიცვალა, გელათის ტაძარში გამოსამშვიდობელი ცერემონიალი გაიმართა. ისევე, როგორ სხვა რეგიონებიდან ოზურგეთიდან დელეგაცია ჩავიდა. ბადრიმ ტაძრის ეზომდე მისვლა ვერ შეძლო (ძალიან სტკოდა კიდურები) და ტაძრის ქვემოთ ელოდებოდა უკანასკნელ გზაზე მიმავალ დიდ მწერალს...

მარცხნიდან: ბადრი ინგოროყვა, ნუგზარ ასათიანი, ოტია იოსელიანი ლიხაური, 2002 წელი

რამდენიმე წელია ბადრი აღარ არის. სამწუხაროდ, შარშან მოულოდნელად უფროსი ვაჟიშვილი, აფხაზეთის ომის მონაწილე ილიაც გარდაიცვალა.უმცროსი კახა –მეუღლესთან და შვილებთან ერთად 25 წელია ამერიკაში ცხოვრობს.

ახლა მისი მეუღლე, ერთგული მეგობარი, ქალბატონი ქალბატონი მერი დასტრიალებს თავს ქმარშვილის საფლავს.

1998 წელს ოზურგეთის კოლორიტმა, აკადემიკოსმა **არსენ კეჭაყმაძემ** მოგონებების წიგნი გამოსცა, რომლის ერთ-ერთი ეგზემპლარი ბადრი იმგოროყვასაც უსახსოვრა.

„ბატონ ბადრის! ჩვენი თაობის ღირსეულ წარმომადგენელს, დიდებულ ხელოვანსა და კარგ ოზურგეთელს“ –ხომ კარგი შეფასებაა..

ბადრი ახლა 84 წლის იქნებოდა...

უფალმა ნათელში ამყოფოს გარდაცვლილთა სულები...

ნუგზარ ასათიანი

მშვიდობისა და სიყვარულის კაცი

ჭოლა კუკულაძე - 100



მხატვრის ნამუშევრები ლანჩხუთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში გამოფენის დროს

ჭოლა კუკულაძე – ფერმწერი, გრაფიკოსი, მოქანდაკე, ოფორტისტი, ილუსტრატორი, საზოგადო მოღვაწე, საქართველოს დამსახურებული მხატვარი, აფხაზეთის მხატვართა კავშირის თავმჯდომარე 1955-1975 წლებში. იგი დაიბადა და გაიზარდა ლანჩხუთში და სულითხორცამდე ლანჩხუთელად დარჩა სიცოცხლის ბოლომდე.

ჭოლა კუკულაძე ფერწერულ ტილოებთან ერთად თანაბარი სითბოთი ქმნიდა ქართველი და აფხაზი პოეტებისა და მწერლების პორტრეტებს, აქანდაკებდა ცნობილ ადამიანებს, აფორმებდა წიგნებს და თეატრალური ესკიზებით ამშვენებდა თეატრის სპექტაკლებს, სხვადასხვა ქალაქებში ქმნიდა ვრცელ პანოებს.

მისი ფერწერული ტილოები არაერთხელ გამოიფინა თბილისში, მოსკოვში, კიევში, სანტ-პეტერბურგში, მინსკში, პრაღაში. მხატვრის ფერწერული ტილოები ინახება საქართველოს ეროვნული მუზეუმის გალერიის ფერწერის ფონდში, ხოლო ნამუშევრების უმეტესობა სოხუმშია დარჩენილი მის სახლში.

ლანჩხუთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცულია ჭოლა კუკულაძის პირადი არქივი და მისი ქმნილება „ჟურული ფირალის“ ქანდაკება, რომელიც მან 60-იან წლებში საჩუქრად გადმოსცა ქალაქს. ერთი წლის განმავლობაში ჩვენს მუზეუმში ექსპონირებული იყო მისი ნამუშევრები, რომელმაც დიდი მოწონება დაიმსახურა.

კაცი-ლეგენდა, – ასე ახასიათებდა ცნობილი მოქანდაკე თეიმურაზ ჭყონია ჭოლა კუკულაძეს.

მეორე მსოფლიო ომის დროს, ჭოლა გახდა ბელორუსიის პარტიზანული ბრძოლების გმირი. შემდეგ აირჩიეს ბელორუსიის საპატიო მოქალაქედ. მიუხედავად დატვირთული შემოქმედებითი მუშაობისა, არასოდეს დავიწყებია მშობლიური კუთხე. მან დააძმობილა ლანჩხუთი და ბელორუსიის ქალაქი როსონი, რის შემდეგაც არაერთი კარგი საქმე გაკეთდა ჩვენთან, არაერთი ლამაზი ღონისძიება ჩატარდა, რომელიც დღემდე ახსოვს ლანჩხუთელებს.

აფხაზეთში დატრიალებულმა ომის ხანძარმა ბატონი ჭოლას ოჯახსაც გადაუარა და ალმოდებული სოხუმიდან უკანასკნელად გამოსული გემის კიჩოზე აღმოჩნდა. მან არ ისურვა ხელგაწვდილ ლტოლვილად ყოფნა და სამხედრო ნაწილში ჩაირიცხა ალბათ მსოფლიოში ყველაზე უხუცეს მოქმედ ჯარისკაცად.

მხატვარი თბილისში გულთბილად მიიღეს, მაგრამ მაინც ვერაფრით ივსებდა ათწლეულობით შექმნილი სამყაროს დანგრევით შექმნილ სიცარიელეს. ფორიაქი თანდათან უფრო მეტად იპყრობდა და ამის გამო შეშფოთებულმა, სოხუმში დარჩენილმა მეუღლემ მოახერხა მისი მშობლიურ სახლში ჩაყვანა. სოხუმში დაბრუნებული ბატონი ჭოლა მშობლიურმა ქალაქმა და სახლმა, მისთვის ძვირფასმა ნამუშევრებმა ერთხანს მართლაც დაამშვიდა, მაგრამ **ერთ დღესაც ველარ გაუძლო ემოციებს და სოხუმის ქუჩებში საქართველოს დროშით ხელში გავიდა.** ეს ამბავი, ცხადია, სოხუმში შეუმჩნეველი არ დარჩენიათ. მოვიდნენ,

ჭოლა კუკულაძე ეგნატე ნინოშვილის სახლ-მუზეუმში ქ. როსონის რაიკომის მდივანთან და ლანჩხუთის ინტელიგენციასთან ერთად.



„სისონა დარჩია"-ავტორი ჭ. კუკულაძე. ქანდაკება დაცულია ლანჩხუთის მუზეუმში.

დაკითხეს ხან რბილად, ხან დაჟინებით, მაგრამ რაღა ეთქმოდათ, „მე ხომ თბილისში ვარო“ – ამტკიცებდა მხატვარი.

ჭოლა კუკულაძე 1998 წელს გარდაიცვალა სოხუმში.

2013 წელს საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიმართა მისი ნამუშევრების გამოფენა და ალბომის პრეზენტაცია. ამ დიდებულ ღონისძიებაზე „აღსანიშნავია სიტყვით გამოსული აფხაზეთის თვალსაჩინო წარმომადგენლების დამოკიდებულება არამარტო ჭოლა კუკულაძის შემოქმედებისადმი, არამედ ქართულ- აფხაზური ურთიერთობის, სასიკეთოდ მოგვარების საქმეში, რაშიც დიდი წვლილი მიუძღვით ისეთ ადამიანებს, როგორიც ჭოლა კუკულაძე იყო.

საგულისხმოა რომ ჭოლა კუკულაძის შემოქმედება და დამსახურება ქართული და აფხაზური კულტურის წინაშე ვერ-ვერობით სათანადოდ არ არის შესწავლილი და დაფასებული.

აქვე, მუზეუმის სახელით, კიდევ ერთხელ მინდა ვთხოვო ჩვენი მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას, რომ ლანჩხუთელთათვის ამ საამყო კაცის, ჭოლა კუკულაძის სახელი მიანიჭოს იმ ქუჩას, სადაც მისი სახლი დღესაც დგას. ის ამას ნამდვილად იმსახურებს ლანჩხუთისთვის გაკეთებული სასიკეთო საქმეების გამო.

ნონა იმნაძე,
ლანჩხუთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მენეჯერი.

„არწივები“ რთულ ბრძოლაში დამარცხდნენ

ალიონი. ქ. ფოთში, „პარკი არენაზე“ დიდი 10-ის მეორე ტურის მატჩში ოზურგეთის „არწივებმა“ ბოლნისის „ყოჩებს“ უმასპინძლა.

ბოლნისის „ყოჩები“ გამოცდილი გუნდია და შარშან, დიდი 10-ის გათამაშებაში ხუთეულში მოხვდა.

ოზურგეთის „არწივები“ არ შეეპუა სტუმრების უმაღლეს ლიგაში სათამაშო გამოცდილებას და მე-19 წუთზე კონსტანტინე გაზაშვილმა პირველი ლელო დადო, ხოლო სამხრეთ აფრიკელმა მარვინ ფრედერიქსმა წარმატებით შეასრულა გარდასახვა და „არწივები“ წინ გავიდნენ 7:0.

5 წუთის შემდეგ ბოლნისელებმა ლელო დადეს, გარდასახვაც წარმატებით შეასრულეს და ანგარიში გაათანაბრეს 7:7. სტუმრები მოედნის ყველა მონაკვეთში ცდილობდნენ მასპინძლების დაჩაგვრას. 28-ე, 34-ე, მე-40 წუთებზე მათ შეძლეს სამი ლელოს დადება და ტაიმის ბოლოს ანგარიში 7:28 გახდა „ყოჩების“ სასარგებლოდ.

მეორე ტაიმში „არწივების“ მთავარმა მწვრთნელმა გია ამირხანაშვილმა გარკვეული ცვლილებები განახორციელა გუნდში და შეტევებს უმატეს, თუმცა მე-7 წუთზე დაჯარიმდნენ და სტუმრებმა ზუსტად დაარტყეს 7:31.

ოზურგეთელებმა რამდენიმე შეტევა განახორციელს და 21-წუთზე აიდინ ჯოსეფამ ლელო დადო, ხოლო ბახვა კობახიძემ გარდასახვა ზუსტად შეასრულა –14: 31.

ბოლნისელებმა 27-ე წუთზე გუნდურად დადეს ლელო, რაც 29-ე წუთზეც გაიმეორეს, თუმცა გარდასახვა ორთავე შემთხვევაში არაზუსტად შეასრულეს –14 :46.

შეხვედრის ბოლოს „არწივების“ ლეგიონერმა მესამე ლელო დადო, გარდასახვა კვლავ წარმატებით შეასრულა ბახვა კობახიძემ.

21:46 ასე დასრულდა ეს მატჩი.

ART სივრცე space

შოუ სტუდია

ART სივრცე აცხადებს მიღებას

ART სივრცე - შოუ სტუდია, რომელიც ფუნქციონირებს ოზურგეთის სახელწიფო თეატრში აცხადებს 5-დან 17-წლამდე ასაკის მუსიკალური, ქორეოგრაფიული და თეატრალური ნიჭით დაჯილდოებულ აღსაზრდელთა მიღებას ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლის (ბენდი) შოუ ჯგუფის ჩამოყალიბების მზნინით.

სწავლება იქნება ნიჭისა და მოსწავლეთა ინტერესების მიხედვით:

ვოკალში მომზადება, სიმღერის ინდივიდუალური და ჯგუფური შესწავლა (საესტრადო, ხალხური სიმღერები და საგალობლები);

მუსიკალურ-დასაკრავ ისტრუმენტებზე დაკვრის შესწავლა;

გიტარა (რიტმი, კლასიკური, ელექტრო, სოლო და ბასგიტარა);

დასარტყმელი ინსტრუმენტები (დრამი, ტომტომი და ა.შ.);

კლავიშებიანი ინსტრუმენტები (ელ. პიანინო, ორგანი, სინთეზატორი);

ხალხური ინსტრუმენტები (ფანდური, სალამური, დიპლიპიტო და ა.შ.);

ცეკვა (თანამედროვე და ხალხური ცეკვის ელემენტების შესწავლა, სასცენო მოძრაობა შოუ პროგრამისათვის);

სამსახიობო ოსტატობა (მეტყველების კულტურა, მხატვრული კითხვა);

სწავლების პროცესში მოსწავლეები ნიჭის, მონაცემებისა და მიდრეკილების მიხედვით შეირჩევიან და გადანაწილდებიან სხვადასხვა ჯგუფებსა და ანსამბლებში.

ART სივრცე-შოუ სტუდია ითვალისწინებს კონცერტებისა და შოუ პროგრამების მოზადებას და წარმოდგენას დიდ სცენაზე. ასევე პიარ კომპანიას სატელევიზო, ბეჭდურ მედიასა და სოციალურ ქსელებში სტუდიის წევრების ნიჭისა და შემოქმედებითი კუთხით პოპულარიზაციის მიზნით.

ART სივრცე-შოუ სტუდია ნებისმიერი ასაკის დაინტერესებულ პირებს ასევე სთავაზობს მუსიკალურ ინსტრუმენტებზე დაკვრას, როგოც სამოყვარულო, ასევე პროფესიონალურ დონეზე.

განცხადებები მიიღება სახელმწიფო თეატრის ადმინისტრაციაში.

მისამართი, ქ. ოზურგეთი, ჭავჭავაძის ქუჩა №1. დაგვიკავშირდით 551 52 50 50.

სახლ-მუზ

მზე, ღრუბელი +18+23	მზე +18+24	მზე +17+27	მზე, ღრუბელი +19+24	ღრუბელი +19+24	მზე +18+24	მზე, ღრუბელი +17+23
25 სექტემბერი ორშაბათი	26 სექტემბერი სამშაბათი	27 სექტემბერი ოთხშაბათი	28 სექტემბერი ხუთშაბათი	29 სექტემბერი პარასკევი	30 სექტემბერი შაბათი	1 ოქტომბერი კვირა